# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 18 თებერვალი, 2014 წელი.

№34 (7415)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge  ვებ გვერდი: www.open.ge  ფასი 50 თეთრი.



## განცხადებების გამომქვეყნების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge.
ტელეფონები: 299 62 77; 5 99 32 85 76.


## რაში ვერ შეთანხმდნენ ბიძინა ივანიშვილი და არჩილ ქბილაშვილი?.. 

3

## „ამათი მომადუნებელი პოზიცია არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე ნაციონალების აგრესიული პოზიცია“

4



## დალიე, „ლეოპოლდ“, „აზვერინი“!

2

## სკანდალური ბრიტანელი დიპლომატი ხელმეორედ გაგზავნეს საქართველოში მივლინებით

8

### დღის ამფრაზურიდან

## ხალხი მიდის და მილაპარაკობს

### ჯერჯერობით ქართველი ხალხია გაკვირვებული. ბატონო ბიძინა, ხოლო ევროპას როდის გავაკვირვებთ ჩვენი დემოკრატიით, ეგ მერე ვნახოთ!

— ეს არის, კაცო, სამართლიანობის აღდგენა?!

— რა ვიცი, დიდის ამბით კი ეწვია ბატონი ბიძინა ამ კოტე კუბლაშვილს, შეაქო და დაამშვიდა კიდეც, წყნარად იმუშავე შენი ვადის გასვლამდეო.

— ჰოდა, აგერ წყნარადაც მუშაობს. ჭიაბერაშვილი ფრთიან ანგელოზად გამოიყვანა, მერაბიშვილს ხუთი წელი აკმარა, ახალაიას, ალბათ, გმირად გახდის.

— ჟვანია, მგონი, საერთოდ აღარც ახსოვთ.

— იუსტიციის საბჭო ისევ მაგათია.

— პროკურატურა უსუსურ მდგომარეობაშია.

— ეს წულუკიანის ქალი ერთი ხანობა ძალიან დიდ გულზე იყო, მაგრამ ბოლო დროს სულ დაიპატარავა თავი და ხმაც მიინელა.

— სამაგიეროდ, ფაქტობრივად, ხალხს ნაციონალები ელაპარაკებიან რუსთავი-2“-ის საშუალებით, როგორც იტყვიან, ცოცხლად მარხავენ, თუ რამ გაუკეთებიათ, ყველაფერს წყალში უყრიან, საბოლოო ჯამში, ამ ჩვენს მეოცნებეებს აშკარად ხალხის მტრებად სახავენ.

— სააკაშვილმა, როგორც ხედავთ, მთელი ამერიკის კონტინენტი დაძრა ამჟამინდელი ქართული ხელისუფლების წინააღმდეგ. პასუხის გამცემი კი არავინ არ ჩანს...

— ეს მეოცნებეები მაინც რაღამ დაამუნჯა?! მარტო ვოლსკისა და კვაჭანტირაძის იმედადღა არიან დარჩენილნი?

— ასე არ გამოვა, ბატონო. ტარიფების განახევრება და ჩვენი პენსიები ჯანდაბას, მაგრამ, რატომ აპარპაშებთ, ხალხის თვალში მეტ-ნაკლებად უკვე გაბითურებულო მეოცნებეებო, თანაც ამ დონეზე, უზენაეს სასამართლოს და თვითონ კუბლაშვილს, კოტეს, რომელიც ნამდვილ ფანტომასად გვევლინება თავისი ვირეშმაკური შეფარული პოლიტიკით?!

გამარჯვებულ-დამარცხებულო მეოცნებეებო!



**ძველი ხელისუფლებისგან განსხვავებით, თუ კი მართლა ოდნავ ყურადღებას მაინც უთმობთ თქვენს მხარდამჭერ პრესას, უნდა იცოდეთ, რომ, დიდად სამწუხაროდ, ხალხი თქვენი ამჟამინდელი დუნე და უპრინციპო მოქმედებებით კმაყოფილი სულაც არ არის!**

**თანაც კარგა გვარიანად გაკვირვებულია, თქვენი აშკარა უნიათობით, ხოლო, რაც შეეხება ჩვენი ახალი ქართული დემოკრატიით ევროპის გაკვირვებას, ეს უთუოდ შორეული მომავლის საქმეა. და არა გვგონია, რომ ასეთი უსახური და უპრინციპო პოლიტიკით სიარული იმ ჭეშმარიტ დემოკრატიამდე მიგვიყვანს, რომელსაც ამდენი ხანია, ასე მოუთმენლად ელოდება ჩვენი ხალხი!**

**ერთი სიტყვით, ცხადზე უცხადესია, რომ აშკარად თავგასული ნაციონალები ქართულ ოცნებას მალე ისევ საოცნებოდ გაგვიხდიან!..**

**ისე არ მოხდეს, ბატონებო, რომ მალე ნაციონალებმა, პირიქით, აქეთ დაიწყონ მეოცნებეთა გასამართლება, როგორც უკვე თავად ჭიკჭიკებენ, ამჟამინდელი უნიათო, ანტიხალხური პოლიტიკისათვის!**

**ღმერთმა არ ქნას... მაგრამ, რომ ქნას!..**

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ერიჰა!

# დალიე, „ლეოპოლდ“, „აზვერინი“!



## ანიმაცია და რეალობა სამ მოქმედებად

**დამეთანხმებით, საოცრად კეთილი, გულმოწყალე, გაწონასწორებული და მიმტევებელია** ცნობილი მულტფილმის მთავარი პერსონაჟი კატა ლეოპოლდი.

რას არ უკეთებენ და როგორ არ აწვალებენ მას ამით გათამამებულ-თავგასული თაგვები, მაგრამ მდგომარეობიდან მაინც ვერ გამოჰყავთ.

**— ბიჭებო, მოდით, ვიცხოვროთ მეგობრულად!** — ესღაა ყოველივე ამაზე ლეოპოლდის რეაქცია-პასუხი.

თუმცა, როგორც ყველაფერს, იმის მოთმინებასაც აქვს საზღვარი და, ბოლოს, როდესაც ეს მიჯნა გადაილახება, წრუწუნების უნამუსობით თავგაბეზრებული ლეოპოლდი „აზვერინს“ დალევს და!!!

გეხსომებათ ფილმის მიწურულს გამხეცებული კატისა და დაწიოკებულ-თავზარდაცემული მაუსების ამსახველი კადრებიც...

* * *

**რა სიგლახე არ უქნა, რა არ ავნო და რა უკადრებელი არ აკადრა** გადამწყვეტ მომენტამდე დარჩენილ ერთ წელიწადში საწრუწუნეთის ყველაფერზე წამსვლელმა მთავარმაუსმა „ლეოპოლდს“, საიდან და როგორ არ შეუსია თავისი ყოვლისმკადრებელი ლაქია წრუწუკანები, სკუნსებსაც რომ შეშურდებოდათ, ისეც აუმყრალა გარემო, მაგრამ მაინც ვერ გამოიყვანა იგი ვერც მდგომარეობიდან, ვერც საპროტესტოდ და ვერც თუნდაც წარმატებული ფინიშისკენ მიმავალი გზიდან გადააბარბაცა!

**...და იდგა ჟამი სიხარულისა!**

მაგრამ გამარჯვებული „ლეოპოლდი“, ამჟამინდელივით აზვერინდაულეველი და, ამდენად, თავისი მულტფილმელი „კოლეგის“ დარად, ერთობ კეთილი, გულმოწყალე, გაწონასწორებული და მიმტევებელი იყო.

**— შენი საქციელის გამო რომ გეკუთვნის ისე კი არა, ჩვენს მდიდარ ტრადიციებსა და კულტურას რომ შეეფერება და ეკადრება, იმგვარად მოგექცევითო,** — უთხრა გამარჯვებულმა ყველაფრის კადრებითა და გარეშეთა დახმარებით ფინიშამდე მეორე ნომრად მიჩანჩალებულ მთავარმაუსს.



ამის გამგონე, ისიც, რომ ეგონა, წასულია ჩემი საქმეო, წამოიყიჩა. **მერე გარეშეთაგან გადმოგდებული მაშველი რგოლი — კოჰაბიტაცია — ჩამოიცვა და ყველა და ყველაფერიც... წამოიცვა!**

მაუსებიც მოფერიანდნენ. ის კი არა, სულ ახლახან „სანატორიუმის“ ხუთწლიანი საგზურით დაჯილდოებულმა საწრუწუნეთის „ხერხემალმა“ გაზეთ „პრემიერს“ ისიც უთხრა, **როცა ჩვენი შეფი საქართველოში დაბრუნდება, სამ თვეში შეძლებს ამ ხელისუფლების დამარცხებასო...**

* * *

**...და** თუხთუხებს მაუსთა გულებში „დაკარგული სამოთხის“ გამო დაგროვილი ბალღამიც და იმედიც რევანშისა.

**განწყობაც შესატყვისი აქვთ. კვლავაც ყველაფერს კადრულობენ, შავს თეთრად ასაღებენ, ჩემი... ყაბაყი კიტრიაო, კაცო!**

რა უკადრებელს არ კადრულობენ, რას არ ეძახიან „ლეოპოლდსა“ და ლეოპოლდელებს — უსუსურებიო, ჩუკენებიო, არაფრის შემძლენიო...

„ლეოპოლდი“ კი კვლავაც მიმტევებელია — **იუმორის გრძნობით შეხედეთო იმათს ფაფხურს,** ურჩევს თანამოაზრეთ. ჩვენი გზიდან ვერ გადაგვახვევინებენო, **ისეთი დემოკრატია უნდა ავაშენოთ, ევროპელებიც რომ გაოცდნენო,** კვლავინდებურად ამბობს.

**სულო ცოდვილო, ევროპელებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დღესდღეობით ქართველები კი ვართ მართლაც გაოცებული ამგვარი „დემოკრატიით“, და ერთგვარად გულგატეხილნიც ჯეროვნად დაუსჯელობით გათამამებულ მაუსთა ყელყალაობით!**

**კია ნათქვამი, სამართალი ურმით (ანუ ნელა) დადისო, მაგრამ ამდენ ხანს ურემი კი არა, მოფახფახებული „კატოკიც“ მივიდოდა მიზნამდე!**

**ამიტომაც, დალიე, „ლეოპოლდ“, „აზვერინი!“**

**რუსლან რუსია**

სარედაქციო ფოსტიდან: სიმართლე კი ასეთია!..

# უროლოგი ტვინოლოგები

## ვითომ ის თვითონ კაცია, ვინც სხვის კაცობას უსაბუთოდ ეჭვქვეშ აყენებს?!

**პირდაპირ გაოცებული გწერთ ამ პატარა ბარათს. გაოცებული იმიტომ, რომ ზოგიერთი ჩვენი ეგრეთ წოდებული ჟურნალისტი თავის ამ ერთ-ერთ უძველეს ხელობას ტერორიზმთან ათანაბრებს და თავისი არცთუ მთლად კეთილშობილური მიზნებით ნაკარნახევ წერილებში კალამგირად (კალმის ბოროტად მხმარებლად) და ტერორისტად უფრო გვევლინება, ვიდრე სიმართლისთვის მებრძოლ ჟურნალისტად.**

სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შემიქმნა ცნობილი უროლოგის, პროფესორ გურამ ქარაზანაშვილის წინააღმდეგ ატეხილმა ფრიად ცუდი ეჭვების აღმძვრელმა მიზანმიმართულმა კამპანიამ, რომელმაც ახლა რატომღაც „ასავალ-დასავლიდან“ ამავე გაზეთის ცნობილ მეგობარ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გადაინაცვლა (როგორც იტყვიან, ფერი ფერსა მადლი ღმერთსა!).



მე პროფესორ გურამ ქარაზანაშვილის ერთ-ერთი მადლიერი პაციენტი ვარ და საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ქარაზანაშვილი ნამდვილად კაცია, თანაც გამორჩეული პროფესიონალი. მაგრამ ნუთუ ისიც თავის თავს კაცად და ჟურნალისტად მიიჩნევს, ვინც, შეჭირვებულ პაციენტს აშკარად საეჭვოდ ამოფარებული, ასე უნამუსოდ და უსინდისოდ „გაფართოებულ ბრძოლის ველზე“ ყბამოხეული სრულიად დაუმსახურებლად ქუჩურად ლანძღავს თავისივე კოლეგებს.

ისე, ნამდვილად დიდად გულსატკენია, როცა კაცობაზე პრეტენზიის მქონე ზოგიერთი რატომღაც ავად გათამამებული ვაიჟურნალისტის კალამქვეშ უროლოგია ტვინოლოგიაზე ბევრად მაღლა მდგომი ჩანს.

ისე, მართალი უნდა ითქვას, უროლოგია ცოტა „სურნელოვანი“ დარგია, და ამ ანტიქარაზანაშვილისეულ კამპანიასაც რაღაც მთლად ცხვირსაამო სუნი არ უდის...

**შოთა ფულარია,**
**ქუთაისიდან.**

ესეც შენი სამართალი!

# მერაბიშვილს ჯერჯერობით ხუთწლიანი პატიმრობა არგუნეს



**მთავარი პროკურატურა ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შესახებ განცხადებას ავრცელებს.**

„ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ივანე მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო ბინის (კერძო საკუთრების) ხელშეუხებლობის დარღვევაში, დიდი ოდენობით ფულადი თანხების გაფლანგვის ორ ეპიზოდში და ამომრჩევლის მოსყიდვაში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 182-ე მუხლის მესამე ნაწილით და 164 პრიმა მუხლით.

ასევე, სასამართლომ გადააკვალიფიცირა ბრალდებულ ზურაბ ჭიაბერაშვილის ბრალდება და იგი დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი გულგრილობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 342-ე მუხლით.

საზოგადოებას შევახსენებთ თუ რა ბრალდებებები ჰქონდა წარდგენილი ივანე მერაბიშვილს და ზურაბ ჭიაბერაშვილს, რაზედაც სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. კერძოდ:

საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა, ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, 2009 წლის მაისში უკანონოდ დაიკავა ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ კვარიათში მდებარე, კერძო საკუთრებაში არსებული აგარაკი, სადაც იგი ისვენებდა მისი ოჯახის წევრებთან ერთად. გარდა ამისა, მან მეტი კომფორტის შესაქმნელად აგარაკი გაარემონტა სახელმწიფოს ხარჯზე, აგარაკის მოსავლელად დაიქირავა დამხმარე პერსონალი, რა მიზნითაც, პირადი მოტივით ივანე მერაბიშვილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიხარჯა სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა — 157 669,3 ლარი.

ასევე, 2012 წლის 5 ივლისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამა“, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამუშაოს მაძიებელთა ერთიანი ბაზის შექმნა, სწორედ ამ პროგრამის ამოქმედების შემდეგ, პროგრამის ნიღბად გამოყენებით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ამომჩეველთა მოსასყიდად, საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა შეიმუშავა დანაშაულებრივი გეგმა, რომლის განხორციელება დაევალათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ზურაბ ჭიაბერაშვილს და „სოციალური მომსახურების სააგენტო“ დირექტორს.

2012 წლის 7 სექტემბრამდე პერიოდში, „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის“ პროგრამის ფარგლებში, გაფორმდა ხელშეკრულებები „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ 21 837 პირთან. ხელშეკრულებები იყო თვალთმაქცური, ვინაიდან მათი გაფორმება მიზნად ისახავდა სახელმწიფოს კუთვნილი თანხებით ამომრჩეველთა მოსყიდვას.

ამ გზით, ივანე მერაბიშვილის მიერ გაფლანგული იქნა სახელმწიფოს კუთვნილი 5 240 880 ლარი.

სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია ივანე მერაბიშვილის ზემოაღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით, იგი ცნო დამნაშავედ ხსენებულ ბრალდებებში და „ამნისტიის შესახებ„ საქართველოს კანონის და სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით ივანე მერაბიშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ჩამორთვა თანამდებობის დაკავების უფლება 1 წლის და 6 თვის ვადით.

ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილის სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებისთვის განუსაზღვრა ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, სასამართლომ ივანე მერაბიშვილს მოუხსნა სსკ-ის 332-ე მუხლით, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილს სსკ-ის 182-ე და 164 პრიმა მუხლებით წარდგენილი ბრალდებები, რა ნაწილშიც ბრალდების მხარე განაჩენს გაასაჩივრებს სააპელაციო წესით, — ნათქვამია უწყების განცხადებაში.

# რაში ვერ შეთანხმდნენ ბიძინა ივანიშვილი და არჩილ კბილაშვილი?..



## რატომ ჭიანურდება ქონებაწართმეულთა საქმეების გადახედვა?

**პარასკევს, შეთანხმებისამებრ, არჩილ კბილაშვილს ვსტუმრობდი იურიდიულ ფირმაში, რომელსაც ოფიციალურად – შპს „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური" ეწოდება და რომელშიც იგი დღეს განაგრძობს საქმიანობას. ვეკითხები, რატომ დამუხრუჭდა სამართლიანობის აღდგენა „პოსტსააკაშვილისეულ" საქართველოში? რატომ გაჭიანურდა დამსახურებისამებრ დასჯა იმ ადამიანების...**

– ვინც დასასჯელია, მარტივად რომ ვთქვათ?

**– დიახ! ქვეყნის უკეთური მმართველების, უწინარეს ყოვლისა.**

– მე ასე არ ვფიქრობ. მაშინ, როდესაც, პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა წინა მთავრობის 7 მინისტრს (მათ შორის, პრემიერ-მინისტრს), დედაქალაქის მერს და 300 სხვა საჯარო მოხელეს, ეს ძალიან ბევრია. ეს პროცესები დღესაც არ დასრულებულა. უბრალოდ, წინა ხელისუფლებამ საზოგადოება მიაჩვია იმას, რომ ბრალდებული ყოველთვის ციხეში უნდა მჯდარიყო და ბრალდებულის ბედი კი წინასწარ გადაწყვეტილი ყოფილიყო.

ახალმა ხელისუფლებამ ხელი აიღო ბრალდებულის ციხეში ჯდომის აუცილებლობისგან და სასამართლოც ზეწოლისაგან გაათავისუფლა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ბრალდებულთა ნაწილი თავისუფლებაში იმყოფება და სასამართლოც რიგ შემთხვევებში არ იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას. თუ ჩვენ დემოკრატიულ გარდაქმნებს ვუჭერთ მხარს, მაშინ არასასურველი რეალობაც უნდა მივიღოთ და წყენაზე მაღლაც უნდა დავდგეთ.

**– მაგრამ არა ჭეშმარიტების საზიანოდ.**

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ უნდა მოვახერხოთ და ემოციიდან კანონის სიმაღლეზე ავიდეთ. სააკაშვილის ხელისუფლებამ წინა მთავრობის წევრები რომ დაიჭირა, ბევრი საქმე (თუ ყველა არა) იურიდიულად გამართული არ იყო, მაგრამ იმის გამო, რომ პროკურატურა და სასამართლო პოლიტიკურად ანგაჟირებული იყო, მაინც გამამტყუნებელი განაჩენები გამოდიოდა. ამან იმ ეტაპზე საზოგადოების დიდი ნაწილის კმაყოფილება გამოიწვია, რადგან საზოგადოებამ იცოდა, რომ ვიღაცა კორუფციაში იყო ჩაფლული და ვიღაცა ძალადობდა. თუმცა ამ უკანონობამ მეორე უკანონობა წარმოშვა და იმ მთავრობის წევრებს მალე უკან ლამის მთელი საზოგადოება მიაყოლეს. 2006 წლიდან, უკვე ყველამ დაინახა, რომ ხელისუფლება ძალადობდა, მაგრამ მისი შემაკავებელი ძალა საზოგადოებაში უკვე აღარ იყო.

2012 წლის არჩევნებში საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ უნდა გაგრძელებულიყო. არჩევნების შემდეგ ახალი ხელისუფლება ისეთივე ცდუნების წინაშე დადგა, როგორც 2003 წელს სააკაშვილის ხელისუფლება იდგა: საზოგადოების უმრავლესობა ამჟამადაც დაჟინებით ითხოვდა ყოფილ მმართველთა ციხეში ხილვას. ამ მოთხოვნის მსურველებს ნაკლებად აინტერესებდათ იურიდიული კაზუისტიკა. ახალი ხელისუფლების წინაშე კი გამოწვევად დადგა საკითხი: გაემეორებინა თუ არა მისი წინამორბედი ხელისუფლების შეცდომა, როცა ყველა ციხეში ჩაყარა და სასამართლოც ჯიბეში ჩაიდო. ასეთი არჩევანი ახლო დისტანციაზე პოპულარობის მომტანი და თან ძალიან იოლად განსახორციელებელი იყო, რადგან ნაციონალური ხელისუფლების მიერ დატოვებული რეპრესიის მანქანა მზად იყო მის შემოქმედსაც გულმოდგინედ გასწორებოდა, მაგრამ, ამავდროულად, ეს ნაბიჯი, საბოლოო ჯამში, არც ახალ ხელისუფლებას და არც ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანდა. მეორეს მხრივ, მავნე ჩვევაზე ხელის აღება ახლო დისტანციაზე თავის ტკივილის მომტანი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, საზოგადოების გამაჯანსაღებელი იქნებოდა.

ამ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ერთმა კაცმა – ბიძინა ივანიშვილმა აიღო. მისი ხელმძღვანელობით ახალმა ხელისუფლებამ უარი თქვა უკანონობაზე, გაათავისუფლა სასამართლო ხელისუფლება და სამართლიანობის აღდგენა სამართლებრივი პროცედურებით განიზრახა. ეს ნელი და რთული პროცესია, მაგრამ სისწრაფე და მართლმსაჯულება შეუთავსებელია. დიქტატორ პინოჩეტის ხელისუფლებიდან წასვლიდან 24 წელი გავიდა, თუმცა, მისი რეჟიმის საქმეების გამოძიება ჩილეში ახლაც მიმდინარეობს.

ჩვენც შეგვაჩვიეს სააკაშვილის „სამართალს": დღეს კაცს იჭერდნენ, ხვალ განაჩენი მაკდონალდის პროდუქტივით მზად იყო. ასე ესმოდათ საქართველოში სამართლიანობის დამყარება. ასეთი დამოკიდებულება თუ არ დაიძლია, იმავე წრეზე წავალთ.

**– მთავარ პროკურორად ყოფნისას თქვენ გქონდათ წინადადება ბიზნესის დატერორების საქმეების გამოსაძიებლად შექმნილიყო ცალკე სპეციალური პროკურატურა, რადგან ამ სახის დანაშაული იმდენი იყო ჩადენილი, რომ არსებული ძალებით, ვერ დაძლევდით დაგროვებულ მასას.**

**არ შეიქმნა.**

**პერსპექტივაშიც სანუგეშოს ვერაფერს ხედავენ სააკაშვილის მიერ გატყავებული ადამიანები...**

**რამ შეგიშალათ ხელი?**

– აქ გამოძიების ფორმაზე მეტად გამოძიების ჩატარების საკითხია მნიშვნელოვანი. ეს პოლიტიკური საკითხია. მას პროკურატურა ვერ გადაწყვეტს. იგი ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია და, თუ მთავარი პროკურორი პრემიერის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას არ დაემორჩილება, პრემიერს უფლება აქვს მთავარი პროკურორი მიზეზის დაუსახელებლად თანამდებობიდან გადააყენოს. ასეთია დღევანდელი ქართული კანონმდებლობა და ამ რეალობიდან უნდა ამოვიდეთ.

პირადად მე ვთვლი, რომ დადგა დრო, როცა უკანონო განაჩენების მსხვერპლთა და ქონებაწართმეულთა საქმეების გადახედვა უნდა დაიწყოს. ეს გადადგომის განცხადებაშიც ვთქვი. ეს ერთ-ერთი საკითხია, რაშიც ბიძინა ივანიშვილისა და ჩემი შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ამ საკითხის წარმოჩენის დროს ობიექტურობის დაცვა არის საჭირო, რადგან წამგებიანია პოზიცია, რომელიც ამ ინიციატივას ეწინააღმდეგება. რა სჯობია იმის თქმას, რომ უკანონობა აღმოვფხვრათ და სამართალი აღვადგინოთ. განა ივანიშვილია ამის წინააღმდეგი? არა, რა თქმა უნდა. იგი ამ პრობლემას სხვა სიმაღლიდან უყურებს. იგი მიიჩნევს, რომ ამას შეიძლება ქვეყნისთვის მძიმე ფინანსური შედეგი მოჰყვეს. ერთი მილიონიდან შეიძლება სამი მილიონის პრობლემა წარმოიშვას...

**– ვერ გავიგე?**

– ვთქვათ, ერთი მილიონის ქონება, მე რომ წამართვეს და შემდეგ სხვას გადასცეს, იმან კიდევ სხვას და იმან კიდევ სხვას გადასცა. თუ ამ წართმეულ ქონებას მე დამიბრუნებენ, სამი სხვა შემძენის ინტერესი იქნება დასაკმაყოფილებელი და სამი მილიონი გადასახდელი, საზოგადოებაში, შესაძლოა, გაჩნდეს დაპირისპირება ქონების გადანაწილების გამო, პრობლემები გაუჩნდეს ბიუჯეტს, ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას, საინვესტიციო ნაკადს და ა.შ. ამიტომაა, რომ ეს კაცი სიფრთხილეს იჩენს. თორემ რატომ უნდა იყოს ვინმე წინააღმდეგი უსამართლობის აღმოფხვრის?! გაუთვლელი ნაბიჯების გადადგმით მეტი უსამართლობა არ უნდა დადგეს. მოკლედ, ასეთია ძირითადი არგუმენტები.

მაგრამ მე ვფიქრობ, შესაძლებელია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც დროში იქნება გაწერილი: თავდაპირველად დადგინდება სიმართლე – ვინ რა დაკარგა. ამას რამდენიმე წელი შეიძლება დასჭირდეს. სანამ დაზარალებულთა სრული ნუსხა და ზიანის ზუსტი ოდენობა არ დადგინდება, მანამდე ბიუჯეტიდან არავინ არაფერი არ უნდა მიიღოს, რათა სხვაზე უპირატეს მდგომარეობაში არ ჩადგეს. შედეგების მიხედვით, შესაძლოა, კომპენსაციის წესის დადგენა, რომელიც ასევე დროში იქნება გაწერილი და, ამავდროულად, კომპენსაციის სხვადასხვა ფორმას გაითვალისწინებს.

ადამიანებს ძალიან აწუხებს უსამართლობა. პროკურორად ყოფნის დროს ათასამდე მოქალაქეს შევხვდი და ამ მხრივ განცდა ძალიან გამძაფრებული მაქვს, რაც კონკრეტული მაგალითებით შემიძლია დაგიმოწმოთ. ჩემთან მოსულ ადამიანებს უპირატესად სწორედ უსამართლობა აწუხებდათ – უკანონო განაჩენთა მსხვერპლნი ხშირად ამბობდნენ: ჩემს შვილებს და შვილიშვილებს რა ვუთხრა, როგორ ჩავხედოო თვალებში?!

**– კანონის ძალით უნდათ თავიანთი სიმართლის დადგენა?**

– დიახ, მართლები რომ არიან, – იმის. ამან შეიძლება გადაწონოს ყველა ის არგუმენტი, რომელიც საწინააღმდეგო აზრის სასარგებლოდ დაგისახელეთ.

აქ არის ის ლოგიკა, რომელიც მორალით იზომება და არა მატერიალური ზარალით. ღირებულებათა კონფლიქტი წარმოიშვება ამ დროს.

მე პირადად მგონია, რომ იმ პოლიტიკის რეალიზაციის პირობებში, რომელიც ზემოთ ვახსენე, ადამიანები – უკანონობის მსხვერპლნი – დამშვიდდებიან, უყურადღებოდ მიტოვებულის შეგრძნებას სძლევენ და მათ ცხოვრებას ხალისი მიეცემა.

ეს ორი აზრი არსებობს. საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის. ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება.

## ვინ მოკლა სანდრო გირგვლიანი?

**– „იმედის" ტელეარხით გამოსვლისას თქვენ დააფიქსირეთ საკუთარი პოზიცია გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით. საქმე, დაპირებების მიუხედავად, სასამართლოს არ გადაეცა. ეს ერთი.**

**მეორე, რასაც საზოგადოებრიობა აგრესიულად შეხვდა, ისაა, რომ თითქოს თქვენ შეეცადეთ დამნაშავეთა ბრალის შემსუბუქებას.**

– საქმე სასამართლოს როგორ არ გადაეცა. ყოფილ პრემიერს ერთ-ერთ ეპიზოდად სწორედ გირგვლიანის საქმის გამოძიებაზე უკანონო ზემოქმედება ედება ბრალად.

გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით მთელი რიგი დანაშაულობებისა იქნა ჩადენილი. მათ შორის ყველაზე მძიმე დანაშაული ამ ადამიანის გარდაცვალებასთან არის დაკავშირებული, თორემ რა ბრძანებებიც გირგვლიანის გატაცებასთან დაკავშირებით იყო გაცემული, ისიც დანაშაულია, რაც ციხეში ხდებოდა, ისიც დანაშაულია, მაგრამ დანაშაულების ამ ჯაჭვში ყველაზე მნიშვნელოვანი (რაც ყველას აინტერესებს) არის ის, თუ რამ გამოიწვია ამ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლის მოსპობა: მკვლელობასთან გვაქვს საქმე, თუ სხვა უბედურ შემთხვევასთან?

უნდა გითხრათ, რომ ყველა საკითხი დეტალურადაა გამოძიებული – რა ხდებოდა სუფრაზე, ვინ რა ბრძანება გასცა, ვინ ჩაისვა მანქანაში, ვისი დავალება იყო, ციხეში ვინ უქმნიდა დაპატიმრებულებს კომფორტულ პირობებს და რაში გამოიხატებოდა ეს.

მაგრამ ის გარემოება, თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია ადამიანის სიკვდილი, გამოძიებით ობიექტურად ჯერ ვერ არის დადგენილი.

გამოძიება ამ დროს სასურველს რეალობად ვერ წარმოაჩენს. არავის აქვს უფლება ამ საქმეში ასანთის ღერისოდენა უსწორობა დაუშვას.

გირგვლიანის გარდაცვალების უშუალო მიზეზი დადგენილია. სიკვდილი ასფიქსიამ გამოიწვია, მაგრამ რა მოხდა – გირგვლიანს სასიკვდილო ჭრილობა ადამიანმა მიაყენა, თუ დაზიანება მან გაქცევის შემდეგ მიიღო და გარდაიცვალა, ეს დადგენილი არ არის და უნდა დადგინდეს.

აი, ამის თქმა მინდოდა, რაც, ეტყობა, გასაგებად ვერ ვთქვი „იმედში" გამოსვლისას.

**– ესე იგი, ვინც აწამა იმათ ეს დაუდგენელი მომენტი სასჯელს არ უმსუბუქებს? საზოგადოებამ თქვენი ნათქვამი აღიქვა ისე, რომ უმსუბუქებს და აღშფოთდა.**

– არა, რა თქმა უნდა. რაც ახლა ვთქვი წმინდა სამართლებრივი პოზიციაა. ხუთი კაცი ერთს რომ სცემდეს, შედეგად კი ის ერთი გარდაიცვალოს, თუ ვერ დავადგენთ, სიკვდილი რომლის დარტყმამ გამოიწვია, მკვლელობაში კონკრეტულად ვერავის დავდებთ ბრალს.

**– შეიძლება კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში იმის დადგენა, რაზეც ვლაპარაკობთ?**

– სწორედ ეს არის გამოძიების ამოცანა. აქ პროგნოზირება ძნელია. გამოძიება გრძელდება.

**– ე.ი. ვერ ვამბობთ, რომ მკვლელი მაინც და მაინც ესა და ეს არის, მოძალადეთა ჯგუფს, ყველას ერთად ამ დეფინიციას ვერ მივუყენებთ. მაგრამ ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია ჯგუფის კოლექტიურმა ძალადობამ, კოლექტიური მკვლელის ცნება კი არ არებობს?**

– არა, კოლექტიური მკვლელის ცნება არ არსებობს. ყველა დანაშაული ინდივიდუალურია. ამასთან, ზუსტად უნდა დადგინდეს ის, რომ სასიკვდილო შედეგი დამნაშავის კონკრეტულმა ქმედებამ გამოიწვია. ამას წმინდად სამართლებრივი თვალსაზრისით გეუბნებით, თორემ მორალური თვალსაზრისით, შესაძლოა, საყოველთაოდ გავრცელებული საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც კი, რატომ არ შეიძლება გირგვლიანის გარდაცვალება მკვლელობად შეფასდეს? როდესაც ადამიანს ოქროყანის ტყეში გაიტაცებ და ეს ადამიანი თუნდაც მაშინ კვდება, როდესაც იგი თავის დაღწევას ცდილობს, ეს, ჩვეულებრივი ადამიანური განსჯით, მკვლელობაა.

**– ბატონო არჩილ, მაინტერესებს თქვენი, როგორც მოქალაქის და იურისტის პოზიცია: მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს და მსგავსი ტრაგედიები, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს მოხდა, რამაც აღაშფოთა ჩვენი საზოგადოებრიობა, არის სწორედ რეჟიმის დანაშაული, იმ რეჟიმის, რომელიც ცრუდემოკრატებმა შეძლეს და დაამყარეს საქართველოში? უნდა გასამართლდეს თუ არა რეჟიმი?**

– მოქმედი სამართალი იცნობს ინდივიდთა მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს და პასუხისმგებლობასაც ცალკეული ქმედების ჩამდენ ინდივიდებს უწესებს. ტერმინები: „რეჟიმის დანაშაული" და „რეჟიმის გასამართლება" – ჩადენილ ქმედებათა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასებაა. სამართლებრივი დატვირთვა შეიძლება მაშინ მიიღოს, თუკი პარლამენტი კანონის მიღების გზით ამ ცნებებს სამართლებრივ შინაარსს შესძენს, ისე, როგორც ეს მოხდა 2012 წლის 28 დეკემბერს „ამნისტიის შესახებ" კანონის მიღებისას, რომლითაც „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული" და „პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირების" სამართლებრივი ცნებები დადგინდა. ასეთი კანონის არარსებობის პირობებში საუბარი „რეჟიმის დანაშაულზე" და „რეჟიმის გასამართლებაზე" მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და იგი მხოლოდ მოვლენათა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეფასებას წარმოადგენს.



**ესაუბრა**
**არმაზ სანებლიძე**
**„საქართველო და მსოფლიო"**

**„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია გულითადად ულოცავს ცნობილ ჟურნალისტს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარსა და ავტორს არმაზ სანებლიძეს დაბადების დღეს და შემოქმედებით წინსვლას, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.**

## ⦿ პოლიტპატიმარი

# „ამათი მომადუნებელი პოზიცია არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე ნაციონალების აგრესიული პოზიცია"

**პოლიტპატიმარი ზაალ ჟვანია ერთ-ერთი მათგანია, ვინც ნაციონალების დროს საკუთარ ოჯახთან ერთად დევნა იწვნია. ის და მისი ორი ვაჟი გამოგონილი ბრალდებებით ციხეში ჩასვეს. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ზაალ ჟვანიას სასარგებლოდ სასამართლომ, დავალიანებისა და მიყენებული ზარალის გათვალისწინებით, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას სოლიდური თანხის გადახდა დააკისრა, რომელიც შემდგომ სახელმწიფომ აიღო ვალად.**

ამ თანხის ამოღება შევარდნაძის ხელისუფლების მიერ იბლოკებოდა. მოგვიანებით, 2003 წლის ბოლოს საქმემ საკონსტიტუციო სასამართლომდეც მიაღწია, რომელმაც დაადგინა ზაალ ჟვანიას სიმართლე და მის სასარგებლოდ თანხის გადახდა სახელმწიფოს დააკისრა. ზაალ ჟვანიამ თანხის ამოღების მიზნით დასახმარებლად იმხანად ხელისუფლებაში მოსულ მიხეილ სააკაშვილს მიმართა, მაგრამ დახმარების ნაცვლად, ნაციონალები მისი ფირმით დაინტერესდნენ. ზაალ ჟვანია და მისი ვაჟები პოლიტიკურ ნიადაგზე დააპატიმრეს, ქონება კი დაუყადაღეს. მისგან ყოფილი მაღალჩინოსნების დადანაშაულებას ითხოვდნენ, რასაც ჟვანია არ დათანხმდა და 15-წლიანი პატიმრობა „დაიმსახურა".

ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ აწ უკვე პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ზაალ ჟვანია სამართლიანობის აღდგენას დიდხანს ელოდა. თუმცა, იმის გამო, რომ ქვეყანაში ძველი საქმეები არ გადაიხედა და არც მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის, ან პროკურატურაში რეაბილიტაციის საქმეთა დეპარტამენტის ამოქმედება მოხერხდა, ზარალის ანაზღაურების ნაცვლად, დღეს უკვე ისევ მისი ბინის ხელში ჩაგდებით დაინტერესდნენ. როგორც აღმოჩნდა, ნაციონალების მიერ უსამართლოდ გამოტანილი განაჩენი ახალი ხელისუფლებისთვისაც დასაყრდენი აღმოჩნდა და ამჯერად, მეტრო „დელისთან" მდებარე ზაალ ჟვანიას სახლი აუქციონზე გაიტანეს. ამის საპასუხოდ, ყოფილი პოლიტპატიმარი საკუთარი ღირსების დაცვას აპირებს და მზადაა, თავისი ქონება სიცოცხლის ფასად დაიცვას. ამავდროულად, დარწმუნებულია, რომ სტრასბურგის სასამართლო, სადაც მისი საქმე გადაგზავნილია, მის სიმართლეს დაადგენს, თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში პროცედურები დროში გაჭიანურებულია.

**„საქართველოს პროკურატურას მივმართე, მაგრამ თავს იმართლებენ, თითქოს, საქმეში არ არსებობს ახალი გარემოება და თურმე, ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლება არ აქვთ. სინამდვილეში, ახალი გარემოებაც გავაცანი, თუმცა, აშკარაა, პოლიტიკური ნება არ არის, რომ ამ საქმეების გადახედვა მოხდეს. ალბათ, ამიტომაც დახუჭეს თვალი ჩემს მიერ მიტანილ ახალ გარემოებაზე. თავის დროზე ჩემი დაჭერა იმის გამო მოხდა, რომ ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ მოგებული მქონდა საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის აღსრულების შემთხვევაშიც, 2004 წლისთვის უკვე 18 მილიონი დოლარი მეკუთვნოდა. ეს დაანგარიშებული აქვს იუსტიციის სამინისტროს საბუღალტრო ექსპერტიზას. ზუსტად ამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფონზე დამიჭირეს, რომ იგი არ აესრულებინათ. ახლა ეს მთავრობა იმას წუხს, რომ არ ამისრულოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. არადა, 90-ე ბრძანებით, 2003 წლამდე, ავტომატურ რეჟიმში ზარალის გამო, 18 მილიონი დოლარი მეკუთვნოდა, 2004 წლიდან კი უკვე საბანკო პროცენტი მოქმედებს და უზარმაზარ თანხაზე ადის. ასეთი შემთხვევისთვის, როცა სახელმწიფო არ ასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებას, საბანკო წლიური პროცენტი უკვე 25,8%-ია, ანუ თანხა ადის სადღაც 70 მილიონამდე, შეიძლება, უფრო მეტიც ჰქონდეთ გადასახდელი. ამ თანხის ხსენებაზე ამათ აკანკალებთ და არ იციან, რა მოუხერხონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამხელა თანხის მოცემა არ უნდათ. ვეუბნები, ჯანდაბას, თუ აღასრულებთ გადაწყვეტილებას და წაიღებთ ჩემს ბინას, ამისრულეთ ეს გადაწყვეტილებაც. ამაზე პასუხი არ აქვთ, თავჩაღუნულნი დგანან და ბურტყუნებენ რაღაცებს",** — აცხადებს ზაალ ჟვანია For.ge-სთან საუბარში.



როგორც გავარკვიეთ, მისი საქმით უკვე დაინტერესდა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და მომავალი კვირის დასაწყისში ზაალ ჟვანიას იუსტიციის სამინისტროში იბარებენ. ამ ეტაპზე ზაალ ჟვანიასთვის უცნობია, რას მოიფიქრებს იუსტიციის სამინისტრო, თუმცა, დარწმუნებულია, რომ სტრასბურგის სასამართლოში მის მიერ შეტანილ სარჩელზე მისთვის გამამართლებელი განაჩენი დადგება და ჩვენს მთავრობას მის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში ბრძოლის შანსი არ ექნება.

პოლიტპატიმარი აცხადებს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში, როცა ის და მისი შვილები პატიმრები იყვნენ, არავითარი შემოსავალი არ ჰქონიათ. მისი ერთი შვილი პატიმრობის შემდეგ „თელასში" მუშაობდა, თუმცა, დღეს იქიდან წასვლა აიძულეს, მეორე შვილი და პირადად იგიც დაუსაქმებელია, ახლა კი სახლს ართმევენ და გამოდის, ადამიანს სიდუხჭირისა ან დანაშაულისთვის სწირავენ.

**„მართალია, ქუჩებში არავინ გვირტყამს და არ გვცემს, მაგრამ მათი მომადუნებელი და დეპრესიაში ჩამგდები პოზიცია არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე ნაციონალების აგრესიული პოზიცია. მე ვერ ვიტყვი, რომელი უფრო უარესია. თეა წულუკიანი გამოვიდა, ფული არ გვაქვს, სამართალი რომ აღვადგინოთო. ე.ი. წულუკიანი ფულს ითხოვს სამართლის აღდგენაში და ამ ქვეყანაში სამართალი ფულთან პირდაპირპროპორციული ყოფილა. არავის ეგონოს, თითქოს ქონებას კბილებით ვიცავ, უბრალოდ, ღირსებას ვიცავ, რადგან მამაჩემის ნაყიდი სახლის წართმევას მიპირებენ. თოფით დავდგები იმ სახლში. აბა, შემოვიდეს ვინმე, ვესვრი, ვინც იქნება. ვიცი, რომ შეიძლება, ის ტყვია უდანაშაულო კაცს მოხვდეს, მაგრამ რა ვქნა, სხვა გზა არ დამრჩენია. უბრალოდ, ღირსების საქმეა. თუ გავიმარჯვებ, პირობას ვდებ, ვინმეს, მარჩენალდაკარგულ, მრავალშვილიან ოჯახს ვაჩუქებ ამ ბინას, მაგრამ ბოლომდე ვიომებ არა ქონებისთვის, არამედ ღირსებისთვის. 15 წელი მომისაჯეს და თვალი არ დამიხამხამებია, ღირსება არ დამიკარგავს, არ ვითანამშრომლე და ხელი არ დავადე იმ პიროვნებებს, რომლებიც მათ უნდოდათ",** — აცხადებს პოლიტპატიმარი.

მისი აზრით, ახალი ხელისუფლება ნაციონალების დროინდელ დანაშაულს „აპრავებს". ეს მაშინ, როცა მის მიმართ წაყენებული აბსურდული ბრალი დილეტანტისთვისაც აშკარაა. დასწამეს, თითქოს, პირთა ჯგუფთან ერთად ჩაიდინა თაღლითობა. ამ დროს კი „პირთა ჯგუფი" დაუდგენელია.

**„ვეკითხები, კაცო, ვინ არის ის პირთა ჯგუფი, ვისთან ერთადაც დანაშაული ჩამიდენია?! სახელები და გვარები მაინც მითხარითმეთქი. დაუდგენელ პირთა ჯგუფიაო. ეს ხომ სიგიჟეა. ვითომ მივაყენე სახელმწიფო ორგანიზაციას 422 ათასი ლარის ზარალი. სპეციალურად დამაპირისპირეს სახელმწიფო კომპანია, თორემ მათ არაფერი სადავო არ ჰქონდათ, 300 ათასი აქეთ მეკუთვნის, მე ვარ დაზარალებული და ამ დროს მე გამომიყვანეს დამზარალებლად. ისევ ის მოსამართლეები და პროკურორები სხედან და ვინ გადახედავს ამ საქმეს? სავლეს და პავლესი არ იყოს, პროკურატურაში ვინ იტყვის, ღმერთო, გვაპატიე, ზაალ ჟვანიას თავი უნდა დავანებოთ და ჩვენ ვართ დასაჭერებიო?! ახლა მერაბიშვილის წინააღმდეგ რომ გამოდის პროკურორი ბაჩიაშვილი, ის ჩემი საქმის პროკურორი იყო და ციხეში რვანახევარი წელი დამიმატეს კიდევ, ვითომ ტელეფონი მქონდა. თემა სულ სხვა იყო, ვიღაცებზე ითანამშრომლეო. არადა, კამერაში ტელეფონი არ მქონია. დაწერეს, ზაალ ჟვანიამ ქრთამის სახით ფული ვერ გადაიხადა, რადგან თანხა არ ჰქონდა, მაგრამ ათი თვე კამერაში ტელეფონი ჰქონდა და ამ ათი თვის განმავლობაში ამ ტელეფონით არ უსარგებლია, რადგან არ სჭირდებოდაო. დანაშაული ხომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირისგან უნდა შედგებოდეს. თუ მე ფული ვერ გადავუხადე, მაინც მომიტანეს ეს ტელეფონი და „პოსლეზე" მენდნენ?! მაშინ ათი თვე რატომ არ ვისარგებლე ამ ტელეფონით?!"** — დღემდე აინტერესებს ზაალ ჟვანიას.

იგი უსამართლობასთან ბრძოლას კონკრეტული საქმიანობითაც აპირებს. უახლოეს ხანში არასამთავრობო ორგანიზაციას — „პატრიოტები საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად" დააარსებს. ფიქრობს, რომ ამით სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის სასარგებლო პროექტებს დაიცავს, ასევე, არ დაუშვებს, ხალხს ისევ ჩამოართვან ქონება და ქუჩაში დატოვონ ოჯახები. მისი მიზანია ქვეყანაში გაჩნდეს საშუალო ფენა. სწორედ ამ ფენის ეშინოდა შევარდნაძეს, სააკაშვილს და, სავარაუდოდ, საშუალო ფენას არც ახალი ხელისუფლება სწყალობს. არადა, საშუალო ფენა ქვეყნის მდგრადობისა და თავისუფალი აზრის ძირითადი საყრდენია.

**მანანა ნოზაძე**

## ⦿ ალიან-ჩალიანი

# გეგუთში განვითარებული მოვლენები დადგმული თაღლითობა იყო

**ამის შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა.**

**სუბარის თქმით, დაგეგმილი პროტესტის ინიციატორი პატიმრები გეგუთიდან სხვა დაწესებულებებში გადაიყვანეს.**

**ამასთან, მინისტრის თქმით, გეგუთში პატიმარი ნამდვილად იყო ნაცემი, თუმცა, ამაზე რეაგირება სამინისტროს გენინსპექციამ მოახდინა და დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემდეგ, მოკვლევის მასალები პროკურატურას გადაეცა. მინისტრის განცხადებით, ტყუილია, თითქოს პატიმარი ციხის დირექტორმა კახა ბებიამ სცემა.**

**— ზოგი პრივილეგირებული პატიმრის კარი ღამით არ იკეტებოდა, ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში მოექცა და ამიტომაც დაიწყო უკმაყოფილება, — განაცხადა სუბარმა.**

**მინისტრი გეგუთის კოლონიის დირექტორის კახა ბებიას შესახებაც საუბრობს. სუბარის თქმით, ბებია დირექტორად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის დიმა დარბაისელის ნდობის საფუძველზე დაინიშნა. მისი თქმით, გეგუთში განვითარებულ მოვლენებში დიდი წვლილი დაწესებულების თანამშრომლებს მიუძღვით.**

**— მათაც არ მოსწონთ ახალი წესები, სწორედ მათ ნაწილს შეჰქონდა ციხეში ფსიქოტროპული წამლები, ნარკოტიკი, ტელეფონი, — განაცხადა სუბარმა.**

**მინისტრმა გავრცელებულ ინფორმაციაზეც გააკეთა კომენტარი, რომლის მიხედვით, გეგუთში ე.წ. „ობშიაკი" გროვდება.**

**— ქურდული სამყარო რომ არ გამქრალა ვიცით. რამდენიმე დღის წინათ, ციხის გარეთაც ჩაატარა პოლიციამ სპეცოპერაცია და ქურდული სამყაროს წევრები დააკავა. იქაც „ობშიაკის" თემა იყო. კატეგორიულად იმის თქმა, რომ კრიმინალური სამყაროს გავლენა აღმოიფხვრა, გნებავთ ციხეებში და გნებავთ ციხის გარეთ, შეუძლებელია, მაგრამ აქეთ მივდივართ, — განაცხადა სუბარმა. იგი გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციასაც, თითქოს 10 წლის ბავშვი, რომელიც გეგუთში ოჯახის წევრის მოსანახულებლად შედიოდა, ჩხრეკის მიზნით გააშიშვლეს და ბუქნები გააკეთებინეს.**

**— ეს აბსოლუტური ტყუილია, მსგავსი ფაქტი არ ყოფილა, თუმცა, ჩხრეკაზე გაცილებით სერიოზული პრობლემა ის არის, რომ ხშირად ბავშვებს იყენებენ ნარკოტიკის შესატანად. აკრძალული ნივთების, მათ შორის, ნარკოტიკისა და ტელეფონების შეტანას ხშირად ცდილობენ სხვადასხვა მეთოდით, უკანა ტანით, გალავანზე გადაგდებით და სხვა, — განაცხადა სუბარმა. მან აკრძალული ნივთების ციხეში შეტანის მცდელობაზე დაკავებული თანამშრომლების შესახებაც ისაუბრა.**



**ინტერპრესი**

გვეხმაურებიან

# ხალხმა უნდა იცოდეს, რა სიმდიდრის პატრონია



**ბატონო რედაქტორო, თქვენი გაზეთის 2013 წლის 28 ნოემბრის (№ 229) ნომერში გამოქვეყნებული ჟურნალისტ ოთარ ტურაბელიძის სტატია „წიაღში ჩამალული ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გასაღები“, რომ წავიკითხე, გამეხარდა, ვიფიქრე მედიამ ალბათ გეოლოგიისთვისაც მოიცალა-მეთქი. მოხარული ვიქნებოდი, თქვენ გაზეთს რომ გაეგრძელებინა ასეთივე ღრმა შინაარსის მქონე პუბლიკაციების გამოქვეყნება.**

წიაღისეულიდან ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოსთვის, რა თქმა უნდა, ნავთობია. მე ამ საქმეზე 1961 წლიდან ვმუშაობდი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფ-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოლოგიური აგეგმვისა და სასარგებლო ნამარხთა საბადოების ძებნა-ძიების სპეციალობით დამთავრებისა და ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციის მიღების შემდეგ (1960). „საქნავთობის“ გეოლოგიურ-საძიებო კანტორის ჯერ სამხრეთ კახეთის გეოლოგიური აგეგმვის პარტიაში უმცროს ტექნიკ-გეოლოგად, 1963 წლიდან კი ბურღვის პარტიის გეოლოგად, 1965 წლიდან იმავე პარტიის უფროს გეოლოგად. სხვადასხვა დროს ვიყავი საქართველოს სხვადასხვა რაიონში, მათ შორის ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ლესელიძეში, ქარელში, ცხინვალში, ჩოხატაურში, კასპში), მცხეთაში, ახმეტაში თიანეთში მომუშავე ბურღვის პარტიების უფროსი გეოლოგი და უფროსი. 2004 წლიდან სააქციო საზოგადოება, ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ ყოფილი გეოლოგიურ-საძიებო კანტორის, ახლა უკვე ნავთობგაზძიების სამმართველოს მთავარი გეოლოგი. ნავთობგაზძიების სამმართველოს გაუქმების შემდეგ,ნავთობგაზმოპოვების სამმართველოს გეოლოგი. ვიმუშავე აგრეთვე ინგლისურ ფირმა „რამკოში“ (1998-1999 წ.წ.), გერმანულ „ქონსალთინგ ეი-ჯი“-ს საქართველოს წარმომადგენლობაში (2007 წ.) და ბოლოს ინდოეთის ფირმა „ჯინდალ პეტროლეუმში“ (VII, IX, X, XIV ბლოკები) 2010-2011 წლებში 2012 წლის 1 თებერვლამდე.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ახლა უკვე საქართველოს ნავთობგაზძიებისა და მოპოვების ცოცხალ ისტორიად ვიქეცი და ალბათ არ უნდა იყოს საწყენი, თუ ვიტყვი რომ უყურადღებობა მედიის მხრიდან ჩვენი საერთო საქმისადმი ძალიან დამთრგუნველად მოქმედებს. არადა იმდენი რამაა სათქმელი ჩვენს დარგში ყველა ნომერში თითო გვერდიც, რომ დაგვითმოთ, მაშინაც ვერ ამოწურავთ სათქმელს. ეს მარტო ჩვენი, ამ დარგის სპეციალისტების ინტერესებისთვის კი არ არის საჭირო.

იმის მაგიერ, რომ ხელისუფლება ამბობდეს — საქართველოში ნავთობი არ არისო (ძველ ხელისუფლებას ვგულისხმობ და მგონი არც ახალი აპირებს ამის უარყოფას), განა არ სჯობს სპეციალისტებისგან გაიგოს ხალხმა სიმართლე?

თვით პატრიარქის იმ კომისიას, რომელიც თქვენს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშია მოხსენიებული, ერთი ძალიან საინტერესო ცხრილი აქვს მომზადებული, რომელსაც „ზოგიერთი ქვეყნის ნავთობის რესურსები“ ჰქვია. მასში საინტერესო თანაფარდობაა დაფიქსირებული ძირითად ნავთობ მომპოვებელ ქვეყნებსა და საქართველოს შორის საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე არსებული ნავთობის მინიმალური და მაქსიმალური გეოლოგიური რესურსების განაწილების თვალსაზრისით. საიდანაც ჩანს, რომ ამ მხრივ მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანას თუ ჩამოვრჩებით (მათ შორის ვენესუელას, ერაყს, ქუვეიტს, კატარს, საუდის არაბეთს, არაბეთის ემირატებს, ლიბიას), დანარჩენებს კი ვაჭარბებთ (აშშ-ს, მექსიკას, ბრაზილიას, ინგლისს, რუსეთს, ყაზახეთს, ალჟირს, ნიგერიას, ჩინეთს, ავსტრალიას, ინდოეთს, ინდონეზიას). განა საინტერესო არ იქნება მკითხველისთვის ასეთი მასალების გაცნობა? ის ხომ ნათელს ფენს საქართველოში ნავთობის არსებობა-არარსებობის საკითხს და ეს ხალხთან ერთად სააკაშვილსაც რომ სცოდნოდა, მაშინ იქნებ ის კი არ ეძახა — საქართველოში ნავთობი არ არისო და ამ დარგის განადგურებისთვის არ შეეწყო ხელი.საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ დახურვა ძველი ხელისუფლების უზარმაზარი დანაშაული იყო ქართველი ხალხის წინაშე.

ნავთობი რა თქმა უნდა არის საქართველოში და ალბათ იმაზე მეტიც კი, რაც ჩვენი პატარა ქვეყნის მცირერიცხოვან მოსახლეობას შეესაბამება. აბა დაფიქრდით მაშინ რუსებმაც უნდა განაცხადონ: — რუსეთში ნავთობი არ არისო, რადგან იმ ცხრილის მიხედვით მათ ორჯერ (მინიმალური მარაგების მიხედვით) და იქნებ შვიდჯერაც კი (მაქსიმალური მარაგების მიხედვით) ვაჭარბებთ და გამოდის, რომ ამის თქმის ჩვენზე უფრო მეტი უფლება აქვთ, მაგრამ მაშინ მათ ხომ ყველა სულელებად ჩათვლიდა.

მაშ, სადაა ძაღლის თავი დამარხული? საქმე იმაშია, რომ მათი ნავთობმომპოვებელი და ნავთობსაძიებო სამუშაოები ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დროს იყო აწყობილი და არც მხედრიონი ყოლიათ, დანაკარგების გარეშე შეძლეს იმ არეული დროიდან გამოსვლა. ჩვენ კი სწორედ იმ მხედრიონის წყალობით ბევრი, ძალიან ბევრი რამ დავკარგეთ. რაც იმათ დაგვაკლეს, სააკაშვილის ხელისუფლებამ მოგვიმთავრა და თუ მართლა გვინდა საქართველოში ნავთობი იყოს, ის კი არ უნდა ვიძახოთ, საქართველოში ნავთობი არა გვაქვსო, უნდა ვიმუშაოთ და ყველას ვაჩვენოთ, რომ ნავთობი გვაქვს. აი ამის შესახებ უნდა წეროთ და რაც შეიძლება ბევრი წეროთ.

პატივისცემით

**ნოდარ ბერიძე.**

დედაქალაქი

# მანქანების სავალ ნაწილად ქცეული ტროტუარები

**ავტომანქანით ლონდონისა და სტოკჰოლმის ცენტრში შესვლა ძალიან ძვირი ღირს. იქ არსებობს ერთიანი სახელმწიფო სატრანსპორტო პოლიტიკა, რაც ჩვენს დედაქალაქს არ გააჩნია, — ამბობს ურბანისტი და არქიტექტორი ლადო ვარდოსანიძე. მისი აზრით საცობებისა და პარკირების პრობლემა მოგვარებულია, თუ იქნება საკითხისადმი სახელმწიფო მიდგომა. არსებობს პრობლემების სამი დონე: 1. ქალაქგეგმარებითი ღონისძიებები, რეკონსტრუქცია და ა. შ. 2. ადმინისტრირება, ანუ მოძრაობის ორგანიზება. 3. მოსახლეობის მენტალიტეტის შეცვლა.**

ურბანისტი მიიჩნევს, რომ თბილისის სტიქიურმა განვითარებამ ქალაქს მნიშვნელოვანი ადგილები დააკარგვინა, სადაც შეიძლებოდა პარკინგების მოწყობა, რაც ცენტრში შემოსული მანქანების ნაკადს დაიჭერდა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ლურჯ მონასტერთან იყო არაჩვეულებრივი უბე, ამტიცებს არქიტექტორი, სადაც სრულიად გაუაზრებლად „ჩატენეს“ სახლი. იგი ამბობს, რომ ეს ადგილი სრულებითაც არ არის საცხოვრებელი ზონა. იქ შესაძლებელი იქნებოდა მრავალსართულიანი პარკინგის მოწყობა თავისი სერვისებით, მომსახურებით, რომლის ზედა დონე ვერის ბაღის დონეზეც ავიდოდა. ვარდოსანიძე ბოთლიდან ჯინის გამოშვებას ამსგავსებს საგზაო მოძრაობის წესების გაუთვლელად ახალი სვლა-გზებისა და გზატკეცილების მშენებლობებს. მას ამის მაგალითად მოჰყავს ვერის (ე. წ. „ჭიაბერაშვილის“) ყბაღადებული სამკუთხედი და გმირთა მოედანზე აშენებული ესტაკადა, სადაც მუდმივი საცობებია და მძღოლთა გაღიზიანებას იწვევს. სპეციალისტს ეს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის დანაშაულად მიაჩნია.

მისი გადმოცემით, სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ქვეითთა გადაადგილება წარმოადგენს. წლების წინათ, ამბობს არქიტექტორი, უდიდესი შეცდომა იყო დაშვებული, როდესაც თბილისის საკრებულომ ტროტუარებზე მანქანების პარკირების ნებართვა გასცა. მაშინ დათქვეს, რომ ეს არ შეუქმნიდა შეფერხებებს ფეხით მოსიარულეებს. მაგრამ შედეგად მივიღეთ სიტყვიერი დაპირება, რეალურად კი ხალხს ტროტუარზე ვერ გაუვლია. მაგრამ ქვეითად მოსიარულეებს არა მხოლოდ გაუანგარიშებელი პარკირება უქმნით პრობლემებს, არამედ ტროტუარების საფარებიც. ვაგზლის მიდამოებში ტროტუარებზე ასფალტი უმძიმეს დღეშია, რასაც ვარდოსანიძე იმით ხსნის, რომ ტროტუარზე შედიან მძიმე მანქანები, ანგრევენ ფილებს, რომლებიც კონსტრუქციულად ტრანსპორტის დასაყენებლად არაა გათვლილი. მძიმე მდგომარეობაა ჭავჭავაძის გამზირზეც. ყოველივე ეს მას ფულის ორმაგ ხარჯვად მიაჩნია.

ტროტუარები ხომ მანქანებმა წაართვეს ფეხის მოსიარულეებს, ქალაქის ხელისუფლებამ თბილისის ზოგიერთ ცენტრალურ ქუჩაზე ქვეითად მოსიარულეებს გადაადგილების საშუალება მოუსპო. მაგალითად ვარდოსანიძეს მიიჩნევს პუშკინის ქუჩის რეკონსტრუქციის შედეგად მოქალაქეებისთვის ფეხით გადაადგილების საშუალებების მოსპობას. ხელოვნების მუზეუმის მხარეს ტროტუარი აღარაა, ტექნიკური ტროტუარიც კი, რაც გვირაბებშიც კია მოწყობილი, არქიტექტორს დაუშვებლად მიაჩნია, და ყოველივეს მიზეზს იმაში ხედავს, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოებში ფაქტობრივად არ იყვნენ ჩართული დარგის სპეციალისტები, ექსპერტები.

სპეციალისტს გარკვეულწილად პრეტენზიები აქვს ფეხით მოსიარულეებთან. მისი თქმით, ქვეითებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ არა მხოლოდ უფლებები, არამედ ვალდებულებებიც აქვთ. ისინი ქუჩაში უმსგავსოდ იქცევიან, გადარბიან უადგილო ადგილას. ქმნიან ავარიულ სიტუაციებს. ისინი ასეთ პრაქტიკას უნდა გადავაჩვიოთ. ამისთვის ვარდოსანიძეს აუცილებლად მიაჩნია მაღალი ჯარიმების შემოღება და საზოგადოებრივი პიარის ჩართვა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქუჩებში არსებულ მდგომარეობას, ასკვნის არქიტექტორი, ურბანისტი ლადო ვარდოსანიძე — მას უმნიშვნელოვანეს და უპირველეს ყოვლისა, გასატარებელ ღონისძიებად მიაჩნია ერთიანი საქალაქო სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავება.

**ზაზა ბილიხოძე**



ალიან-ჩალიანი

### მსოფლიო ბანკი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას დადებითად აფასებს

**ამის შესახებ მსოფლიო ბანკის მთავარმა ეკონომისტმა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ჰანს თიმერმა საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

**შეხვედრას, რომელიც ფინანსთა სამინისტროში გაიმართა, მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჰენრი კერალი და სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური მართვის სექტორის ლიდერი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რაშნი შანქარიც დაესწრნენ. შეხვედრაზე საუბარი შეეხო მსოფლიო ბანკსა და საქართველოს შორის ახალი სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი თანამშრომლობის საკითხებს, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ის პროექტს.**

**— ფინანსთა მინისტრთან ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა მქონდა. განვიხილეთ ის პროგრესი, რომელიც საქართველომ წლების განმავლობაში მიაღწია, ვისაუბრეთ მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობის საკითხებზე. ძალიან მოხარული ვარ, რომ მთავრობის სტრატეგია ასახავს იმ სამ მნიშვნელოვან სფეროს, რომლის განვითარებაც ჩვენც გვქონდა გუნებაში, ეს არის ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზრებზე, კონკურენციის ამაღლება და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, —განაცხადა ჰანს თიმერმა.**

**ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ სტრატეგიის პროექტი ითვალისწინებს იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკა უნდა იყოს უფრო კონკურენტუნარიანი, და ეკონომიკის ზრდის შედეგი მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ფენამ იგრძნოს საკუთარ თავზე.**

**მისივე თქმით, თბილისში გაიხსნება მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი „ეკონომიკური ზრდის გამოწვევები საქართველოსთვის„ და სწორედ ამ მიზნით იმყოფება საქართველოში მსოფლიო ბანკის წამყვანი ეკონომისტი.**

**ინტერპრესი**

# ლადო დარახველიძის ერთი კავკასიის რუკა და ერთი დიდი ქალაქის მოჩვენებას

ამჟამად ჰოლანდიაში, არნჰემში ცხოვრობს, თუმცა ბოლო ხანებში საქართველოში წელიწადში ორჯერ მაინც ჩადის და, როგორც თავად ამბობს, ქართველებისთვის შემაწუხებელ და მტკივნეულ თემას – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს – თავისებურად აშუქებს. თბილისის ქუჩებში ქართულ-აფხაზურ-ოსური დიალოგის საინტერესო დეტალების ამსახველ პლაკატებს აკრავს, კედლებზე სხვადასხვა სახის სიმბოლოებსა და გრაფიტებს ხატავს, რის შედეგადაც დიდი დოკუმენტაციაც შეაგროვა. ლადო დარახველიძის პროექტს „ერთად შევქმნათ კავკასიის რუკა“ ჰქვია და ამ რუკის გაფართოებას მან ნიუ-იორკშიც მიჰყო ხელი. ოღონდ ამერიკაში მცხოვრები ქართული დიასპორისა და სხვა დიასპორათა წარმომადგენელ ხელოვანთა მეშვეობით და თანაც განსხვავებული მიდგომით. გამოხატვის საშუალებად კი კლასიკური ხელოვნების გარდა მულტიმედიური ხერხებიც გამოიყენა – ვიდეო, თხრობა ე.წ. „ქუჩის ფსიქოანალიზი“. ამერიკულ პროექტს კი, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, ემიგრანტები (მეც მათ შორის) მონაწილეობდნენ, ერქვა „მოჩვენება“, ანდა „მოჩვენება გვაჩვენებს“. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ლადომ ერთ დღეს გადაწყვიტა თავისი ბავშვობის მოგონებებზე დაყრდნობით მისი მშობლიური ქუთაისის რუკები შეექმნა. მერე ფორუმების საშუალებით ჩრდილოკავკასიელებს დაუკავშირდა და მათ ბავშვობისდროინდელი ისტორიების მიწოდება სთხოვა... რუკაზე დასატანად. ჰოდა, საბოლოოდ ადგილობრივი მაცხოვრებლების თვალით დანახული კავკასიის ქალაქებიც „შეიქმნა“, ოღონდ არა მაკეტები, ანდა ბეტონის კედლები, არამედ ერთგვარი მოგონებების ადგილები და მეხსიერების საცავები.

თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა ლადო დარახველიძემ სამაგისტრო ხარისხი ჰოლანდიის სამხატვრო ინსტიტუტში დაიცვა. მისი ნახატები 2009 წლის სტამბულის საერთაშორისო ბიენალეზე იყო წარდგენილი, 201-ში კი – ავსტრიაში, ლინცის კუვეს ბიენალეზე. გამოფენები ჰქონდა დეტროიტის თანამედროვე მუზეუმში, ესპანეთში მანიფსტას მუზეუმში და ა.შ. ახლახანს დუბაის ერთ-ერთ გალერეასთან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო. იგი ასევე სათანამშრომლოდ მიიწვიეს პრესტიჟულ ჰოლანდიურ არტ ჟურნალებში Metropolis M. და Volume. 2011 წელს თბილისში „ევროპის სახლში“ ლადო დარახველიძისა და სხვა პოსტასბჭოელი ეპოქის მხატვრების ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „უბრალო ისტორიები“ მოეწყო, ხოლო 2013 წელს თბილისსა და ბათუმში იგი ქართველების წინაშე სწორედ იმ პროექტით წარსდგა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ და რომლის მიზანიც გახლდათ მეხსიერების „გაღვიძება“, ადამიანურ მოგონებებთან კავკასიის ქალაქების დაკავშირება და კავკასიის მომავალი. გარდა უშუალოდ სახელოვნებო პროცესში ჩართულობისა, ლადო ერთგვარად არტ-კონფლიქტოლოგის როლშიც მოგვევლინა. იგი უცნობი ადამიანების მოგონებებისა და მათთან დიალოგის საფუძველზე ხატავს „მეხსიერების რუკებს“, რომლებიც საბოლოოდ დიდი ფორმატის გრაფიკული რუკების სახეს იღებს. მისი აზრით, ამგვარი რუკები ადამიანებს შორის დიალოგის დაბადებას უწყობს ხელს და თან ისე, რომ ყველა მონაწილეს იმის საშუალებას აძლევს, რომ ერთმანეთის მეხსიერებას გაეცნოს და გაიზიაროს. ამ პროექტის მიზანი კი გახლავთ დაქსაქსული, ფრაგმენტირებული და ხშირად ერთმანეთთან დაპირისპირებული ადამიანების დაკავშირება, დამეგობრება, მათი ურთიერთობის მედიაცია. „ვინაიდან ცოცხალი სოციალურ-ეკონომიკური კავშირები, რომლებიც 80-იან წლებში იყო, უცაბედად შეწყდა, ადამიანური, ნორმალური ურთიერთობები კონფლიქტებმა და გაუთავებელმა დაპირისპირებებმა ჩაანაცვლა. ამიტომ დღეისათვის ეს კავშირები საერთოდ გაწყვეტილია და საჭიროა მათი აღდგენა“ – ამბობს მხატვარი.

ამგვარი ინტერაქტიული დიალოგის წარმოებისთვის საჭირო იყო ფორმატი, ორგანიზაცია, რომელიც უცნობ ადამიანებს შორის კავშირების გაბმის ინიციატორი გახდებოდა. ლადომ ჰოლანდიაში თავის თანამოაზრეებთან ერთად დაარსა MTVS (Museum TV Station), ანუ სპეციალური მედია პლატფორმა, რომელსაც უნდა დაეგეგმა ღონისძიებები, პროექტში ჩართულ ადამიანებს შორის სკაიპით ჩართვები, სხვა სახის კომუნიკაციები. ამ ადამიანებს კი იმის საშუალება ექნებოდათ , რომ ესაუბრათ მათ მიერვე შედგენილი მეხსიერების რუკებზე და თავიანთ განცდებზე იმდაგვარად, როგორადაც მათ ეს შეეძლოთ. ბუნებრივია, პროექტში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველა მსურველს – მხატვარს, ექიმს, ჟურნალისტს – ყველას, ვისაც კავკასიის რეგიონები აინტერესებს და მათი პრობლემები აწუხებს.

პროექტის სამენოვანი პუბლიკაცია სახელწოდებით „ერთად შევქმნათ კავკასიის რუკა“ ხელოვანების ლადო დარახველიძის, ქეთინო ჯაფარიძის (ცხოვრობს და მუშაობს ლონდონში), აზერბაიჯანელი ბაბი ბადალოვის (ცხოვრობს და მუშაობს პარიზში), მოლდოველი ვადიმ ციგანაშის ბავშვობის დროინდელი მოგონებისგან შედგება. გარდა ამისა იგი მოიცავს თბილისში მოღვაწე არქიტექტორ ლევან ასაბაშვილის ნამუშევარს – დედაქალაქის ურბანული განვითარების ანალიზს (1985-2013). გარდა ამისა, მოცემულია კავკასიის ერთ–ერთი ინტერნეტ ფორუმის ჩანაწერები, სადაც ქართველები და აფხაზები ერთმანეთს საერთო მომავალზე სასაუბროდ ხვდებიან.

აი, სოხუმის რუკაც. უფრო სწორად, სოხუმის იმ ადგილებისა, რომლებსაც მთხრობელი იხსენებს. ადამიანების მიერ წარმოთქმულ ტექსტზე „მიბმულია“ ციფრი, რომელსაც რუკაზე მოძებნი, დახედავ და წარმოიდგენ იმ მოთხრობილი ისტორიის ადგილს. ჰოდა, ვკითხულობთ სოხუმურ მოგონებებს. უფრო სწორედ სოხუმის შემოგარენის. სოხუმელი ბორისი იხსენებს იმ დროს, როცა 6 წლის იყო და იმას, თუ როგორ იდგა ბებოსთან ერთად პურის რიგში. “კელასურის სადგურზე მივდივართ პურის საყიდლად. სადგურზე ტურისტების რიგი პურს ელოდება. რიგში დგას ორმოციოდე წლის ქერა ქალბატონი, პოლიეთილენის პარკით ხელში, ბებია ეწევა „კოსმოსს“ და აფრთხილებს ქალს, რომ ცხელი პურის პოლიეთილენის პარკში ჩადება არ შეიძლება. ტურისტი არ



უსმენს და ცხელ პურს პარკში დებს. პური პოლიეთილენს ადნობს და იატაკზე ვარდება. შეკრებილი ხალხი იცინის. მე და ბებო სამ ლავაშს ვყიდულობთ და ერთს გზაში ვჭამთ“.

აი, ქუთაისის რუკაც. ლადო დარახველიძე იხსენებს: “ კარატისტი გოგა პირველ საჯარო სკოლაში სწავლობდა და იქ ტილოები იპოვა, რომლებზეც ცნობილი მოღვაწეების, ისტორიული პირების, ვლადიმერ მაიაკოვსკის, მიტროფანე ლაღიძის, დავით კაკაბაძისა და სხვათა სურათები იყო. გოგამ იცოდა, რომ მე ხატვა მიყვარდა და საკმარისი ტილო არ მქონდა. ამიტომ მან პორტრეტების მოპარვა გადაწყვიტა. ქუთაისი თოვლით იყო დაფარული, როდესაც გოგამ ღამე სკოლაში შეხვედრა დამინიშნა. გარეთ ვიდექი და ჩემთვის განკუთვნილ სიურპრიზს ველოდებოდი. გოგა სურათებს ფანჯრიდან ისროდა, ისინი კი თოვლის საფარში ერჭობოდნენ, მე კი მათი შეგროვებით დავკავდი. იმ ტილოებს ზემოდან ქალაქის ხედები გადავახატე. ასე რომ, ვინმეს აზრად რომ მოუვიდეს ჩემი ნახატების რენტგენით შემოწმება, მაიაკოვსკის, შალვა ნუცუბიძისა და სხვათა პორტრეტებს აღმოაჩენს. ქუთაისის ხედები იმ სურათებს დავახატე“.

აი, ამბროლაურის მხცხოვრები ქეთინო ჯაფარიძის ბავშვობაც და მისი ფერადი ნახატებიც: „ფერდობზე ვენახები იყო გაშენებული, მოსახლეობა ტრადიციულად უვლიდა ვაზს და შემოდგომით ტრადიციულად ღვინო იწურებოდა. ჩვენს სახლთან ახლოს ეკლესიის ნანგრევები იყო. ამ მისტიურ და იდუმალებით მოცულ ადგილზე, ბავშვები თამაშის დროს ხშირად წავაწყდებოდით, ქვებზე შემორჩენილი ძველქართულ წარწერებიან ორნამენტის ფრაგმენტებს, ანგელოზების სახეებს. მაშინ საქართველო სსრკ-ის ერთ-ერთ რესპუბლიკას წარმოადგენდა და სკოლა ათეისტურ იდეებზე იყო დაფუძნებული. ამბროლაურში ვცხოვრობდით ძირითადად ქართველები და




სხვადასხვა ეროვნების რამდენიმე ოჯახი, რუსი, ესტონელი, გერმანელი, ებრაელი და სომხური წარმოშობის. ყველანი ერთ სკოლაში დავდიოდით. სწავლება ქართულ ენაზე იყო“.

აი, აზერბაიჯანული სოფელი ლერიკიც. ბაბი ბადალოვი: „ზუსტად არ ვიცი ჩემი დაბადების დღე. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი დღე 1959 წლის მაისში, ან ივნისში. ოჯახში ხუთი გოგო და ხუთი ბიჭი ვიყავით. სახლში იყო ორი ოთახი, რომელთა კედელი შლაკის აგურით იყო ნაგები. ერთ ოთახში იატაკიც შლაკის იყო. მთელს ჩემს ოჯახს იატაკზე ეძინა. ჩვენი სკოლის კედლებიც შლაკის იყო. 15 წლის ასაკამდე ახალი ტანისამოსი არ ჩამიცვამს. არასოდეს მქონია სათამაშოები და არ გამიხეხავს კბილები. მახსოვს ბევრი ქათამი, ბატი, ცხვარი, ორი ძროხა და ერთი ნაცრისფერი ვირი გვყავდა. ახლაც მახსოვს როგორ მიყვარდა ჩვენი ხბოები და ბატკნები. მახსოვს როგორ ელაპარაკებოდა დედა ჩვენს ძროხებს. 15 წლის რომ ვიყავი, ბაქოში ჩავედი სამხატვრო კოლეჯში სასწავლებლად. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სახლიდან ასე შორს აღმოვჩნდი.“

ლევან ასაბაშვილის მიერ შექმნილ რუკას კი ჰქვია „თბილისის ურბანული პროცესის დროითი რუკა 1985 წლიდან დღემდე“, ხოლო ავტორი საქართველოს წინა მთავრობის პოლიტიკის შედეგად წარმოქმნილ შემდეგ სამ ნეოლოგიზმზე ამახვილებს ყურადღებას: სიღნაღიზაცია/გასიღნაღება, ფასადურობა/გაფასადება და სინგაპურიზაცია/დუბაიზაცია. იგი ამ ტერმინ-ცნებებთან დაკავშირებულ ურბანულ-არქიტექტურული პოლიტიკის დაუბალანსებლობისა და ურბანული მემკვიდრეობის დეგრადაციასა და ფსევდოსტილების გაუმართლებელ კომბინაციებზე წერს.

* * *

ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ ოდესმე ჩემი ძველი ლექსები ვინმეს დააინტერესებდა და მით უმეტეს დიდი ვაშლის ქალაქის ცენტრში მთხოვდა მათ სხვადასხვა ადგილზე წაკითხვას, ამას ვიდეოკამერაზე ჩაიწერდა და მერე თავის მულტიმედიურ პროექტში დიდ ეკრანზე აჩვენებდა. უცნაური შეგრძნებაა ქალაქის გამაყრუებელ ხმაურში ქართულად წაიკითხო ის, რაც ხმამაღლა და მით უმეტეს ამდენი ხალხის „თანდასწრებით“ არასოდეს წარმოგითქვამს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ქართველი მხატვარის ლადო დარახველიძისა და ამერიკელი პოეტის, მწერლისა და ინგლისური ენისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების პროფესორის სირიტა მაკფადენის პროექტი „მოჩვენება“ (CecArtsLink-ის ფინანსური მხარდაჭერით) წარადგენს ამერიკული ნოვატორული პროექტის „ერთი დიდი ქალაქის“ ფარგლებში. ეს უკანასკნელი ნიუ-იორკში მცხოვრები ემიგრანტების, დიასპორების წარმომადგენელი მხატვრების, მუსიკოსების, ზოგადად ხელოვანების, სხვა პროფესიის ადამიანების ურთიერთობის ფორუმია, სადაც მათ უკეთ შეუძლიათ ერთმანეთის გაცნობაც და ნიუ-იორკის მულტიკულტურული გარემოს უკეთ შეგრძნებაც.

„მოჩვენების“ ჩვენება მანჰეტენის მულტიმედიურ სივრცეში სახელწოდებით „სამზარეულო“ (The Kitchen) გაიმართა, სადაც მაყურებლებს პერფორმანსის ფარგლებში წარედგინათ ლადო დარახველიძის მეგობრის, ამერიკაში მცხოვრებ ფსიქოანალიტიკოს ვახტანგ გომელაურის „ექსპერიმენტიც“, რომელსაც „ქუჩის ფსიქოანალიზი“ დაერქვა. შოუს წარდგენამდე ლადო ნიუ-იორკის ქუჩებში „ემიგრანტულ თემებს“ ეძებდა, გზადაგზა ადამიანებისა და მათი გარემოს ჩანახატებს აკეთებდა და გარდა ამისა მას სხვა „მენატურეებიც“ გაუჩნდა. იგი ბრუკლინის ერთ-ერთ უბანში „ქონი აილენდზე“ (Cony Island) გომელაურის მიერ პირდაპირ ქუჩაში მოწყობილ ფსიქონალიატიკურ ტახტზე მოკალათებულ ადამიანებს ხატავდა, როგორც თავად ლადო ამბობს, ადოკუმენტირებდა ფსიქოლოგისა და მისი უნებლიე კლიენტის საჯარო ურთიერთობას, ორი ადამიანის მუშაობას. გამვლელ-გამოვლელები კი ყოველგვარი კომპლექსებისა და წინაპირობების გარეშე მზად იყვნენ თავიანთი ამბები ფსიქოლოგისთვის მოეთხროთ, თუნდაც მცირე ხნით ქუჩაში შემხვედრ ადამიანს გულახდილად დალაპარაკებოდნენ. „ქონი აილენდი“ შემთხვევით არ იყო შერჩეული. ბრუკლინი და „ქონი აილენდი“ ყოველთვის იყო ემიგრანტების ახალი თუ ძველი ტალღის წარმომადგენლების ერთგვარი შეკრების ადგილი, ემიგრანტული პერიფერია, მარგინალური სივრცე, სადაც როგორც წესი, პოსტსაბჭოთა ტერიტორიის წარმომადგენლები, სოციალურად შეჭირვებული ადამიანები ე.წ. ეკონომიკური მიგრანტები იყრიან თავს, ცხოვრობენ, მუშაობენ, სწყინთ და უხარიათ. ქართულმა მოტივებმა კი სხვაგვარადაც გაიჟღერა. კერძოდ კი ინგლისურად წაიკითხეს ნაწყვეტები ჩემი სტატიიდან „ელიტა“ და“ მაიმუნები“... პასუხი შალვა ნათელაშვილს“ (დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“, 2009), სადაც მოთხრობილია ამერიკაში მყოფი ქართველი არალეგალი ქალებისა და კაცების ყოფაზე, მათ სიცოცხლესა და სიკვდილზე. ლადოცა და სირიტაც დაინტერესდნენ ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებისა და ყოფის იმ დეტალებით, რასაც ჩემს სტატიებში აღვწერ და „ჩემგან დაუკითხავად“ კარგადაც შეისწავლეს ემიგრანტული საკითხები, რომელიც რაღაცით ტრაგიკომიკურ პერფორმანსს ჰგავს, რომელიც თითქოს არის და არც არის და ხანდახან მოჩვენებას ემსგავსება. პროექტის ბოლოს სირიტა მაკფადენი ოჯახების სარჩენად წლობით გადახვეწილი ქართველი ქალების, უჩინარების ერთ-ერთი გულმწრფელი თანმგრძნობი და გულშემატკივარი ადამიანი გახდა, რომელმაც აღიარა, რომ არც ამერიკელებმა და არც ქართველებმა სამშობლოში უბრალოდ არ იციან რა თავგანწირვისა და პასუხიმგებლობის მქონე ადამიანებთან ურთიერთობენ აქ თუ ოკეანისგადაღმა, სკაიპით თუ ტელეფონით.

სირიტა მაკფადენმა პროექტში ასევე ჩართო სამი ნიუიორკელი საუნდ-პოეტი, რომლებიც აუდიოტორიაში ისხდნენ და პერფორმანსის მიმდინარეობისას მოქმედებაში მოულოდნელად ერთვებოდნენ ხოლმე. 60-წუთიან შოუს სამუსიკო ჯგუფი დეტროიტიდან „ზელდა და უნიბროუსი“ აფორმებდა. პროექტში ჩართულების, ასე ვთქვათ, კულტურული მრავალფეროვნება სახეზე იყო: აზერბაიჯანელი ბაბი ბადალოვი, ინდოელი ჯაი ჩაკრაბარტი, უზბეკი მაქსიმ ტუმენევი, ამერიკელი მწერლები და პოეტები ელანა ბელი, მარა ჯექსონი, რეიმონდ მედინა, სამანტა თორნჰილი...თუმცაღა, აშშ-ში ტერმინი „ამერიკელი“ ძალიან პირობითი ცნებაა და იგი, როგორც წესი, ასევე პორობითად ამერიკაში დაბადებულებსა და დიდი ხნის წინ მოქალაქეობამიღებულების მიმართ თუ გამოიყენება.

„ჩვენ ვცდილობთ, გავიგოთ ჩვენი აქცენტები, ჩვენი თანხმოვნები და ხმოვნები, ჩვენ ვცდილობთ მოვქსოვოთ ისტორია ნუკლეიოტიდებთან ერთად, ცნობისმოყვარეობა შიმშილთან ერთად. მაგრამ ესენი არ ერთდებიან. ჩვენ კიდეც ვხედვათ და ვერც ვხედავთ საგნების ერთობლიობას. ჩვენ ვართ სიმღერა და ეს სიმღერა ხან მოდის და ხან მიდის მისი მელოდიიდან. ჩვენ ვუსმენთ მუსიკას აქცენტებში“ – კითხულობდა სირიტა თავის ბალადას, რომელსაც დაარქვა Hachapuri/ Poori/Pita/Pain/Brood/Brea/Bread (ხაჭაპური/ პური/პიტა/ტკივილი/ბუდობა/კირი/პური). და კიდევ: „ეს განსაკუთრებული სენსაციაა, ორმაგი ცნობიერება, სხვების თვალების გავლით ხედვა, რომელიც გამოიხატება გასაოცარ ზიზღსა და გულმოწყალებაში. ყველა ოდესმე გრძნობს ამ გაორებას, ვინც ამერიკულია. შესწორებულად კი



ასეა: ორი სული, ორი აზრი, ორი შეურიგებელი მიზანი, ორი მტრული იდეალი ერთ გარედაქტირებულ სხეულში და მხოლოდ ერთი ძლიერი ძალა, რომელიც ხელს უშლის მას ნაჭრებად დაიფლითოს“.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**



# გრძელი გზა თეირანისკენ

**1943 წლის 1 დეკემბერს მუშაობა დაამთავრა „დიდი სამეულის“ თეირანის კონფერენციამ. იოსებ სტალინმა, ფრანკლინ დედანო რუზველტმა და უინსტონ ჩერჩილმა მსოფლიოს უჩვენეს სიმტკიცე — ერთობლივად მიიყვანონ ომი გამარჯვებამდე და დაიწყეს დიალოგი ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის საკვანძო საკითხებზე. მესამე რაიხის მოთავეთა იმედები ანტიჰიტლერული კოალიციის გათიშვაზე სამი სახელმწიფოს ინტერესების დაპირისპირების გამო, ამაო აღმოჩნდა.**

მაგრამ არასწორი იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ეს იმედები ცარიელ ადგილზე გაჩნდა. დასავლელ ლიდერთა გზა სსრ კავშირთან თანაბარუფლებიანი შეთანხმებისკენ ხანგრძლივი და ეკლიანი, ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის ისტორია კი აქტუალური და ჭკუისსასწავლი იყო.

## ჩერჩილის სიტყვები და საქმეები

**ჩერჩილი გახდა პირველი, რომელმაც შეურყევლად განაცხადა სსრ კავშირის მხარდაჭერის შესახებ გერმანიის წინააღმდეგ ომში: „მე ვხედავ რუს ჯარისკაცებს, რომლებიც მშობლიური ქვეყნის საზღვარზე დგანან, იცავენ მიწა-წყალს, რომელზეც ცხოვრობდნენ მათი მამები უხსოვარი დროიდან, მე ვხედავ მათს თავზე წამომდგარ გერმანულ სამხედრო მანქანას, სულელურს, გამოწვრთნილს, მორჩილს, ნატურალური ჯარისკაცების გამოწრთვნილ მკაცრ არმადას, რომელიც წინ მიიწევს, როგორც კალიების ჯოგი... ჩვენ დავეხმარებით რუსეთს და რუს ხალხს ყველაფრით, რაც შეგვიძლია. საფრთხე რუსეთისთვის —ესაა საფრთხე ჩვენთვის და ამერიკისთვის, და ყოველი რუსის ბრძოლა თავისი სახლისა და კერიისთვის — ესაა ყოველი თავისუფალი ადამიანის ბრძოლა დედამიწის ნებისმიერ კუთხეში“.**

რადიოთი ბრიტანეთის პრემიერის მკვეთრმა და მაღალფარდოვანმა გამოსვლამ, რომელმაც მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო, ჩრდილში დატოვა ის, რომ 1941 წლის 22 ივნისს დიდმა ბრიტანეთმა შვებით ამოისუნთქა — ჰიტლერი თავს დაესხა სსრ კავშირს და არა ინგლისს. აღსრულდა ინგლისელი სტრატეგების ძველი გეგმები. მალე გაირკვა, რომ გადასვლას ხმამაღალი განცხადებებიდან გადამწყვეტ მოქმედებებზე საბჭოთა ხალხისთვის დახმარების შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, ჩერჩილი არ ჩქარობდა.

როდესაც ჰიტლერის თავდასხმაზე ამერიკის უმაღლესი ხელისუფლების რეაქციას უკეთებდა ანალიზს, ჩვენი დიდი თანამემამულე ამერიკანისტი ანატოლი უტკინი აღნიშნავდა: „გერმანიის სსრ კავშირზე თავდასხმის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკებმა მთელი დღე-ღამე განუწყვეტელ დებატებში გაატარეს. ამერიკის დიპლომატიური უწყების განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „კომუნისტური დიქტატურა“ ისევე დაუშვებელია, როგორც „ნაცისტური დიქტატურა“. განცხადებაში არ ყოფილა არანაირი პათეტიკური სიტყვები აგრესიის მსხვერპლთა მისამართით, მაგრამ იგი თავდებოდა დასკვნით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება რუსებს, ვინაიდან გერმანია დიდ საფრთხეს წარმოადგენს...

რუზველტი სამი მიზეზის გამო დუმდა. ჯერ ერთი, და ეს მთავარია, მას ეშინოდა იზოლაციური ტალღის მოულოდნელი გადიდებისა. მეორე, მას არ სურდა ჩერჩილის ახლო აჩრდილი ყოფილიყო. მესამეც, მას უნდოდა თავიდან აეცილებინა უხეშობა თავისი აზრის დაპირისპირების გამო სამხედროების თვალსაზრისთან, რომლებიც ვერ ხედავდნენ ვერანაირ შანსს რუსეთისთვის — გაეძლო გერმანელთა შეტევის წინააღმდეგ....და თავად რუზველტიც მიიჩნევდა, რომ „რუსებმა შეიძლება ვერ გაუძლონ ამ ზაფხულში“.

10 ივლისს რუზველტმა, რომელიც, პირველად ორი წლის განმავლობაში, ღებულობდა საბჭოთა ელჩს კონსტანტინ უმინსკის, განაცხადა: „თუ რუსები შეძლებენ შეაკავონ გერმანელები 1941 წლის 1 ოქტომბრამდე, ეს დიდი წვლილი იქნება გერმანიის დამარცხებაში, ვინაიდან ამ თარიღის შემდეგ გერმანელები რუსეთში ვერანაირ ეფექტიან სამხედრო ოპერაციებს ვერ განახორციელებენ...“

ამ სიტყვებმა გვიჩვენეს, რამდენად დაბალ შეფასებას აძლევდა მაშინ რუზველტი სსრ კავშირის სამხედრო შესაძლებლობებს. მისი პროგნოზი კი საერთოდაც შეიძლება იყოს იმ თეზისის ილუსტრაცია, რომ დიდი პოლიტიკოსები ზოგჯერ დიდადაც ცდებიან. ოქტომბრის პირველ რიცხვებში გერმანელთა სატანკო არმიებმა გაარღვიეს ჩვენი თავდაცვა და გაეშურნენ საბჭოთა დედაქალაქისკენ, რაც მოსკოვისთვის ბრძოლის დასაწყისი იყო.

ყურადღებას იმსახურებს პოზიციაც, რომელიც ივნისის ბოლოს გამოაცხადეს ამერიკის გავლენიანი ელიტის წარმომადგენლებმა. სენატორმა მისურის შტატიდან და ამერიკის შეერთებული შტატების მომავალმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა გულღიად განაცხადა: „თუ დავინახავთ, რომ იგებს გერმანია, უნდა დავეხმაროთ რუსეთს, ხოლო, თუ რუსეთი დაიწყებს მოგებას, უნდა დავეხმაროთ გერმანიას, და ამრიგად, დაე ხოცონ ერთმანეთი რაც შეიძლება მეტად“. ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე რუზველტის წინამორბედის ჰერბერტ ჰუვერის სიტყვებით, ამერიკისთვის „არ არის მიზანშეწონილი იჩქაროს ომში ჩართვა, არამედ უფრო მომგებიანია დაველოდოთ მის დამთავრებას, როდესაც სხვა ერები საკმაოდ გამოფიტულები იქნებიან, რათა დაუთმონ ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხედრო, ეკონომიკური და მორალური სიძლიერე“.

თავის მხრივ სტალინმა საბჭოთა ხალხისადმი 3 ივლისის მიმართვაში გამოთქვა იმის რწმენა, რომ ქვეყნის თავისუფლებისთვის ჩვენი სამართლიანი ბრძოლა „შეერწყმება ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისთვის, დემოკრატიული თავისუფლებისთვის“. ამ დროისათვის მესამე რაიხის სტრატეგების მიერ პუნქტუალურად გაწერილი ბლიცკრიგის გეგმა უკვე იწყებდა პირველ ჩავარდნებს, მაგრამ გერმანელები უტევდნენ. ნაცისტურ გერმანიასთან დაპირისპირება გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა.

ენერგიული მოქმედებისკენ ინგლისელებისა და ამერიკელებისთვის რომ ებიძგებინა, სტალინმა 6 ივლისს მათთან მოლაპარაკებისთვის გაგზავნა სამხედრო მისია გენერალ-ლეიტენანტ ფილიპ გოლიკოვის მეთაურობით. როდესაც ლონდონში მოილაპარაკეს თანამშრომლობის ზოგიერთ საკითხზე, გოლიკოვმა ვერ გაიგო მთავარი რამ — ეს იყო მეორე ფრონტის გახსნის საკითხი.

კიდევ უფრო ნაკლები ოპტიმიზმის საბაბი მოიტანა ვიზიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც აგრძელებდა ნეიტრალიტეტის დაცვას. იქაურ მინისტრებსა და სამხედროებს შორის საკმაოდ იყო ის ხალხი, რომელიც არ ისწრაფვოდა სამოკავშირეო ურთიერთობათა დამყარებისკენ სსრ კავშირთან და მისთვის მხარდაჭერას უაზრო ამბად მიიჩნევდა. ამერიკული ელიტა ერთობოდა ნაძლავების დადებით: რამდენი კვირის შემდეგ გაანადგურებს გერმანია სსრ კავშირს. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო მინისტრი ფრანკლინ ნოკსი ფსონს ჩავიდა იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის განადგურებისთვის ნაცისტურ მესამე რეიხს დასჭირდება „ექვსი კვირიდან ორ თვემდე“.

როდესაც ნოკსის მიერ დათქმული ვადა თავდებოდა, რუზველტი და ჩერჩილი 1941 წლის 14 აგვისტოს ნიუფაუნდლენდის მახლობლად შეხვდნენ ერთმანეთს და ხელი მოაწერეს ატლანტიკურ ქარტიას, რომელშიც საუბარი მსოფლიოს ომისშემდგომ მოწყობაზე იყო. 24 სექტემბერს სსრ კავშირი შეუერთდა ატლანტიკურ ქარტიას, რომელსაც სტალინმა „ალგებრა“ უწოდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერჩია „პრაქტიკული არითმეტიკა“. მის შესრულებას შეუდგნენ ხუთი დღის შემდეგ, როდესაც ფრონტისპირა მოსკოვში სამი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენცია გაიხსნა. დიდ ბრიტანეთს მომარაგების მინისტრი ლორდი უილიამ მაკსუელ ბივერბრუკი, ამერიკის შეერთებულ შტატებს—პრეზიდენტის სპეციალური ელჩი ავერელ ჰარიმანი, სსრ კავშირს — საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი წარმოადგენდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატები დათანხმდა, მიეცა სსრ კავშირისთვის უპროცენტო სესხი ერთი მილიარდი დოლარის ოდენობით. მოლაპარაკების მონაწილეებმა ხელი მოაწერეს საიდუმლო ოქმს ურთიერთმიწოდების შესახებ ცხრა თვით. თუმცა, ძირითადმა მიწოდებებმა ლენდ-ლიზით შემოსვლა დაიწყო უკვე მოსკოვთან გერმანელთა განადგურებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზაზე პიორლ-ჰარბორში იაპონელთა თავდასხმის შემდეგ.

მართალია, სამმხრივ შეხვედრას ერთგვარი წარმატება ჰქონდა, სსრ კავშირისთვის მთავარი საკითხი — მეორე ფრონტის შესახებ უპასუხოდ დარჩა. არადა, იგი ხომ გაართულებდა ვერმახტის ძალების გადასროლას აღმოსავლეთში. ჰიტლერის 1942 წლის 23 მარტის დირექტივაში აღნიშნული იყო, რომ შეზღუდული მიზნებით დასავლეთის სანაპიროზე დესანტის გადასხმაც კი არსებით გავლენას მოახდენდა გერმანელთა გეგმების შესრულებაზე, ვინაიდან შებორკავდა სახმელეთო ჯარებისა და ავიაციის მნიშვნელოვან ძალებს, არ მისცემდა საშუალებას, გამოეყენებინათ ისინი გადამწყვეტ ადგილზე.

**ოლეგ ნაზაროვი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

**(დასასრული იქნება)**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

## კაკალ გულში

● კეზერას სასამართლოზე გაგზავნილი პროკურორი ადეს მოსწავლე რომ ყოფილა, იცოდით? ორ თვეში ერთხელ უნგრეთში რომ დაეთრევა კონსულტაციებზე, არც ეგ იცოდით? საფუძვლიანი ეჭვი მაქვს იმის, რომ მიზანმიმართულად აკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რომ მძორზე არ გავიდნენ.

შოკში ვარ! ეს რა ხდება, ხალხნო! ნუთუ ოცნებამ გვიღალატა? არ მჯერა, არა!

— ვღადაობ, რომ შოკში ვარ, აღარაფერი მიკვირს!

● ამ უგულავამ თუ ოლიმპიური პრინციპი არ იცის, „ფეოლა“ მაინც აყურებინეთ! წააგე? წადი, მოშორდი, დაახვიე, გადაშენდი და ეს გრიგოლია კიდე რას დგას „ოლვეის ულტრასავით“ და ამათ პრობლემებს „ათეთრებს“ :))))))))))))))) ბჯოს!

● „ДО НАС ДОХОДЯТ ТОЛЬКО КОНИ“ დაგვემართა მგონი... ოქტომბრის არჩევნების შედეგად თეთრ რაშზე ამხედრებულ „ოცნების“ პრინცს ველოდებოდით და ტროას ცხენით პარლამენტში შეპარული სასტავი მივიღეთ (პოლიტ—პულსი რო აღარ ესინჯებოდათ).

● ჩაკალი შენში გრიგოლია! მე შევძელი ეს — შენც შეძლებ! (საჩვენებელი თითის მიშვერის სმაილი) გუშინ არ მიყურებია, პადლაიბუდუ.

● მხოლოდ ერთი ნიუსი!!!

თქვენ მართლა სიცხე ხომ არა გაქვთ?!!!!!

დაიწყება ცხელ-ცხელი ნიუსები — საკრებულო, მერია, როგორ ვერ გაიყავით კვოტები, ფინანსები, სავარძლები.

### წერტილოვანი ფრაზები

აქეთ ოპოზიციურ პარტიებს დაფინანსება არ მოეწონათ, ერთმანეთს დააყრიან — იმას თუ იმდენი, მე რატომ ასე ცოტა?

იქით რაღაც ენჯეოებს დაფინანსება შემოაკლდებათ და ამით მათი უფლებები ირღვევა, აყვირდებიან.

აქ ნაცებმა და ოცნებამ ერთმანეთს კარები აუჭედეს, ერთი მხარე ნაცების ნაცია, მეორე — ოცნების ნაცი, მაგრამ ამტკიცებს, რომ ნეიტრალურია. მესამე ძალაა, მეოთხე — „ნამდვილი“ ოცნებაა, დაბადებიდან ოცნება!

იქით — „ჭეშმარიტი“ პროფკავშირი ამხელს თვითმარქვია პროფკავშირს.

აქეთ — „ჭეშმარიტი“ კულტმუშაკი უჩივის თვითმარქვია კულტმუშაკს. იქ — „ჭეშმარიტი“ ქრისტიანი შეაჩვენებს ფარისეველს.

აქ — „ნამდვილი“ პატრიოტი გამოააშკარავებს კრემლის აგენტს.

ბოლოს ექსპერტები დააკომენტარებენ ყველაფერს.

და ცხელი ნიუსების მთელი ბლოკი ჩათავდება ამ სისულელეებით. მერე გადავლენ ამინდზე და სპორტზე!

ვინც ხართ — ჭეშმარიტები ხართ, თუ თვითმარქვიები!

რეალობა ისაა, რომ ამ დროს ტელევიზორებს უზის უმუშევარი, მშიერი, უსახლკარო, სწავლის სახსრებს მოკლებული, სამკურნალო, უადგილოდ დარჩენილი, მიწებწაგლეჯილი და ნერვებდაგლეჯილი თქვენი ამომრჩეველი და სულს ღაფავს. ელოდება მხოლოდ ერთ ნიუსს, აქვს მხოლოდ ერთი შეკითხვა: რა ეშველება? რა მოუსწრებს სულზე? — წამალი, ხელფასი, ფასდაკლება, პენსია, ბანკის ვალზე შეღავათი...

თქვენ ხომ არ გძმარავთ?!

როდის უნდა დაიწყოთ საქმის კეთება?

ნუ გვაბრუებთ მაგ ბუღით. რა, ადგილები ვერ გაიყავით? ნუ დაგვახვიეთ რეტი ლაქლაქით, კომენტარით, პასუხით და პასუხის პასუხით!

პირადად მე სასტიკად ვაპროტესტებ თქვენგან ყოველგვარ ნიუსს. არ მჭირდება არავითარი ცნობა თქვენს შესახებ, გარდა იმისა, რა გაიაფდა, სად შეიქმნა სამუშაო ადგილი, სად გახდა შესაძლებელი რეალურად მკურნალობა, სწავლა, შრომა — ფიზიკური თუ ინტელექტუალური და დასვენება. როგორ ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ დაახლოება რეალური შესაძლებლობების და მინიმალური საჭიროებების. მანამდე არც თქვენი დანახვა მინდა და არც იმ ყაყანა ჟურნალისტების, ხალხის დაბოლებაში ერთგულად რომ გეხმარებიან ბაზრის მოედნად ქცეული თოქ-შოუებით. მოვითხოვ მხოლოდ ერთ ნიუსს: რა გაკეთდა!

რით ჩქარობთ, რა ჟანგბადის ბალიშს მიარბენინებთ სულისმღაფავი ხალხისკენ!!!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველომ აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში შეიძლება გაგზავნოს ქვეითი ჯარები, მესანგრეები და სამხედრო მედიკოსები

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო ევროკავშირის მიწვევა, მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო მისიაში აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში. სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა ირაკლი ალასანიამ 16 თებერვალს განაცხადა, რომ ეს ადასტურებს ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმის მაღალ დონეს. როგორც ჩვენს გაზეთს თავდაცვის სამინისტროში აცნობეს, ამჟამად მიმდინარეობს ანალიზი, თუ, კერძოდ, საქართველო როგორ ჩაერთვება საერთაშორისო ოპერაციაში.**

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა განაცხადა, რომ თავისი მონაწილეობით აფრიკის ცენტრალური რესპუბლიკის ოპერაციაში საქართველო უჩვენებს ევროკავშირს, რომ „არა მხოლოდ წარმოადგენს უშიშროების სქემების მომხმარებელს, არამედ თავადაც შეაქვს მასში კონტრიბუცია".

თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილმა რექტორმა გიორგი თავდგირიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ საქმე შეიძლება შეეხებოდეს არა მხოლოდ ქვეით ჯარებს, რომლებმაც მიიღეს შესაბამისი გამოცდილება ნატოს მისიაში ავღანეთში, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო ექიმებსა და მესანგრეებს.

— ჩვენ გვყავს ძალიან კარგი სამხედრო მედიკოსები, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ ექსტრემალურ პირობებში, აგრეთვე გამოწრთობილი მესანგრეები, — თქვა ექსპერტმა. — ამას გარდა, მისიაში შეიძლება ჩართონ ქართველი მეკავშირეებიც.

გენერალთა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა ვლადიმერ იმნაძემ, რომელიც ადრე სათავეში ედგა საქართველოს გენერალურ შტაბს, განაცხადა, რომ აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში ქართული არმიის მონაწილეობამ შეიძლება ბევრი სასარგებლო რამ მოგვიტანოს, თუმცა, აქ შეიძლება იყოს უარყოფითი მომენტებიც.



— ჩვენი სამხედროების მივლინების საკითხი უნდა გადაიჭრას გულდასმით, შესაბამისი ლოგისტიკის შემდეგ, — აღნიშნა გენერალმა. — დიახ, ქართველ სამხედროებს აქვთ ერაყში, ავღანეთში სამსახურის გამოცდილება, მაგრამ აფრიკა — ეს სხვა რამეა. აქ არის ახალი და სრულიად უცნობი პირობები, ახალი ამოცანები. ამას გარდა, არ შეიძლება, აქცენტი გავაკეთოთ არმიის განვითარებაზე მხოლოდ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობით. აფრიკის ცენტრალური რესპუბლიკის მისიაში მონაწილეობა საქართველოსთვის იქნება დებიუტი ევროკავშირთან სამხედრო თანამშრომლობის თვალსაზრისით. შარშან თბილისმა მიიღო მიწვევა, ჩართულიყო ევროკავშირის მისიაში მალიში. მაშინ იგეგმებოდა, გაეგზავნათ ამ ქვეყანაში ქართველი მრჩევლები ან სამხედრო ექიმები, მაგრამ ეს არ გაკეთებულა.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოში მსჯელობდნენ, შეუძლიათ თუ არა რომელიმე ეტაპზე ევროკავშირის ძალებს შეასრულონ პოლიციის მისია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მაგრამ ჯერჯერობით, 2008 წლის ომის დაწყებიდან ევროკავშირის მეთვალყურეები ახორციელებენ საქართველოს მხოლოდ იმ რაიონების მონიტორინგს, რომლებიც ესაზღვრებიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. აფხაზეთმა და სამხრეთმა ოსეთმა უარი განაცხადეს მათ მიღებაზე. უსაფრთხოებას ამ ტერიტორიაზე რუსი სამხედროები უზრუნველყოფენ.

ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა 10 თებერვალს ბრიუსელში დაამტკიცეს სამხედრო ოპერაცია აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში. მოსამზადებელ ფაზას დასჭირდებოდა სამი თვე, თავად ოპერაცია გაგრძელდება დაახლოებით ნახევარი წელიწადი. მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოება ქვეყნის დედაქალაქის რაიონში — ბანგიში, შექმნას სათანადო პირობები ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად.

ამჟამად აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში განთავსებულია 1,6 ათასი ფრანგი სამხედრო მოსამსახურე და რამდენიმე ათასი აფრიკელი მშვიდობისმყოფელი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორან ჰაბიუსის სიტყვებით, ევროკავშირის კონტინგენტი შედგება 500 სამხედროსგან.

ავღანეთში ნატოს მისიაში ამჟამად ამერიკელთა მეთაურობით 1,7 ათასზე მეტი ქართველი სამხედრო მონაწილეობს, ეს არის კონტინგენტის ყველაზე მაღალი ოდენობა იმ ქვეყნებს შორის,რომლებიც ბლოკის წევრები არ არიან. საქართველომ იქ უკვე 29 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

ИЗВЕСТИЯ

# სკანდალური ბრიტანელი დიპლომატი ხელმეორედ გაგზავნეს საქართველოში მივლინებით

**თბილისი შეშფოთებულია დიდი ბრიტანეთის მოქალაქის, გადამდგარი სამხედრო კაპიტნის რაიან გრისტის დანიშვნით საქართველოში ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის ხელმძღვანელის მოადგილედ. გრისტი 2008 წელს მუშაობდა საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილედ და მან პირველმა დიპლომატებიდან ბრალი დასდო საქართველოს ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთში ომის გაჩაღებაში. პასუხად ხელისუფლებამ ბრალი დასდო გრისტს რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირში და, მათი მტკიცებით, მიაღწიეს მის განდევნას ქვეყნიდან.**

რაიან გრისტმა საქართველოს ხელისუფლების მისამართით ბრალდება გაავრცელა სწორედ იმ დროს, როდესაც იმ მომენტში ეუთოს მისიის ხელმძღვანელი ამ ქვეყანაში ტერი ჰაკალა შვებულებაში იყო და ორგანიზაციის პირველ პირად სწორედ იგი ითვლებოდა. გრისტმა დასავლეთის ცნობილ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კერძოდ, განუცხადა, რომ „საქართველოს არმიის თავდასხმა ცხინვალზე 7 აგვისტოს იყო აბსოლუტურად არაპროპორციული პროვოკაცია, თუ საერთოდ ასეთ რამეს ადგილი ჰქონდა". მან ასევე განაცხადა, რომ არაერთგზის აფრთხილებდა ტერი ჰაკალს ომის დაწყების შესაძლებლობის შესახებ საქართველოს მხრიდან, მაგრამ იგი უგულებელყოფდა ამ სიგნალებს.

უკვე 2008 წლის 16 აგვისტოს ტერი ჰაკალმა შეწყვიტა შვებულება, ის გაცოფებული იყო თვითნებური მოქმედებებით თავისი ხელქვეითისა, რომელიც ამ დროს ცხინვალში იმყოფებოდა, აგრეთვე მისი ერთმნიშვნელოვანი პოლიტიკური შეფასებებით იმისა, რაც ხდებოდა, და რეკომენდაცია მისცა მას დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო თბილისში და „სასწრაფოდ წასულიყო შვებულებაში". გრისტმა ბრძანება არ შეასრულა, განაცხადა, რომ საბრძოლო მოქმედებების პირობებში არ შეეძლო ამის გაკეთება.

საქართველოს მხარემ ამ დროისთვის ტერი ჰაკალის მაგიდაზე დადო ინფორმაცია რაინ გრისტის თანამშრომლობის შესახებ ცხინვალის ერთ-ერთ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელთან, რომელიც ითვლებოდა რუსეთის სპეციალური სამსახურების აგენტად, და ამის საფუძველზე ბრალი დასდო ბრიტანელს თავის კავშირურთიერთობებში რუსეთის სპეცსამსახურებთან. 15 აგვისტოს რუსმა სამხედროებმა, ვისაც, ზოგიერთი მონაცემებით, მიმართა დიდი ბრიტანეთის საელჩომ, გაეყვანათ გრისტი უსაფრთხო ადგილზე. ერთ-ერთი გამოცემის ინფორმაციით, ეუთოს მოთხოვნათ ის დაკითხეს დიდი ბრიტანეთის საკონსულოში, გაიყვანეს საქართველოდან და გაათავისუფლეს დაკავებული პოსტიდან. თემურ იაკობაშვილმა, რომელსაც 2008 წლის აგვისტოში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი ეკავა, განაცხადა, რომ საქართველოს მხარე გრისტს მიიჩნევს ჯაშუშად და რომ „რუსეთი ხარჯავს უამრავ ფულს ანტიქართული კამპანიისთვის დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში" — სწორედ რაინ გრისტის ინტერვიუს, რომელიც მისცა ომის პირველ დღეებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მოსკოვი დიდხანს იყენებდა, როგორც თბილისის აგრესიის დადასტურებას ცხინვალთან დაკავშირებით.




გარკვეული დროის განმავლობაში რაიან გრისტის შესახებ არაფერი ისმოდა, და აი, ახლა აღმოჩნდა, რომ ის ბრუნდება საქართველოში ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელად. გადაწყვეტილება მისი დანიშვნის შესახებ ასეთ პასუხსაგებ თანამდებობაზე მოუწესრიგებელი კონფლიქტებისა და დაძაბულობის ზრდის პირობებში, რასაკვირველია, არ გამოიყურება უნაკლოდ.

საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათმა მემკვიდრეებმა უნდა გააკეთონ ყველა აუცილებელი რამ, რათა გრისტი შეიცვალოს უხინჯო დიპლომატით. კერძოდ, დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ზურაბ ჯაფარიძემ თბილისის გამოცემა „რეზონანსისთვის" მიცემულ კომენტარებში განაცხადა, რომ გრისტის კანდიდატურა ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის ხელმძღვანელის მოადგილედ მიუღებელია და „ჩვენ მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, მიიღოს ყველა ზომაი, რათა მან დატოვოს ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია და საქართველო".

გაცილებით თავშეკავებული პოზიცია დაიკავა საპარლამენტო უმრავლესობამ. მაგალითად, კონფლიქტების მოწესრიგების სახელმწიფო მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ განაცხადა, რომ არაფერი განსაკუთრებული გრისტის განცხადებებში არ ყოფილა. „მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა ჩვენს ქვეყანაში რიჩარდ მაილსმა განაცხადა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები გახდა სააკაშვილის გიჟური პოლიტიკის შედეგი, და ეს შეესაბამება იმას, რასაც ადრე გრისტი ლაპარაკობდა", — შეგვახსენა ვოლსკიმ. მისი სიტყვებით, ბრიტანელი დიპლომატი გაათავისუფლეს ეუთოდან არა იმიტომ, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ბრალს სდებდა მას ჯაშუშობაში და მოითხოვეს ეს, არამედ გრისტის მიერ ორგანიზაციის შინაგანი წესდების დარღვევისთვის.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრმა ზვიად კვაჭანტირაძემ, როდესაც კომენტარს უკეთებდა რაიან გრისტის დანიშვნას, განაცხადა, რომ ხელშეკრულება „მეთვალყურეთა მისიის სტატუსის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არ ითვალისწინებს მისიის წევრების პიროვნებათა შეთანხმებას". მისი სიტყვებით, ხელისუფლებას უკვე აქვს დამაიმედებელი ინფორმაცია იმის შესაებ, რომ გრისტი არანაირად არ არის დაკავშირებული სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკითხი მისი დანიშვნის შესახებ შესწავლის სტადიაშია, და თუ გაირკვევა, რაიმე არასასურველი საქართველოს მხარისთვის, ევროკავშირი ინფორმირებული იქნება ამის შესახებ.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ნეპალში იპოვეს დაკარგული თვითმფრინავი, ყველა მგზავრი და ეკიპაჟი დაიღუპა**

**იპოვეს იმ სამგზავრო თვითმფრინავის ნამსხვრევები, რომელიც რადარებიდან 16 თებერვალს გაქრა. დამსხვრეული ლაინერი აღმოაჩინეს იმ მობილური ტელეფონების სიგნალების დახმარებით, რომლებიც მგზავრებს ეკუთვნოდათ, — ზოგიერთი მოწყობილობა მსხვრევის შემდეგაც მუშაობდა. ბორტზე მყოფი 18 კაციდან არავინ გადარჩენილა.**

* * *

**ვენესუელა ქვეყნიდან აგზავნის ამერიკელ დიპლომატებს, ბრალს სდებენ ამერიკას ოპოზიციის მხარდაჭერაში — „როგორც უკრაინაში"**



**გასულ კვირას პრეზიდენტმა მადურომ კარაკასში მიმდინარე მოვლენები კიევის სიტუაციას შეადარა. მისი აზრით, პროტესტების უკან სწორედ ვაშინგტონი დგას. ადგილობრივი ოპოზიცია ბრალს სდებს ხელისუფლებას საპროტესტო აქციის მონაწილეთა დაღუპვაში და მოუწოდებს თანამზრახველებს ახალი მიტინგისთვის 18 თებერვალს.**

* * *

**ნიგერიაში „ბოკო ჰარამის" ბოევიკები თავს დაესხნენ სოფელს: დაიღუპა 100-ზე მეტი კაცი**

**თვითმხილველთა სიტყვებით, ჯერ დაახლოებით 100 შეიარაღებულმა კაცმა, რომლებიც მოტოციკლეტებითა და სატვირთო ავტომობილებით მოვიდნენ, მოითხოვეს, რომ შეკრებილიყვნენ მამაკაცები, ვინც სოფელში ცხოვრობდა. შემდეგ ისინი გარს შემოერტყნენ დაახლოებით 30 კაცს და დახვრიტეს ისინი, რის შემდეგადაც იჭრებოდნენ სახლებში და ხოცავდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს.**



* * *

**იაპონიაში დიდთოვლობის მსხვერპლი გახდა 19 კაცი, თითქმის 1600 დაზარალდა**

**ქვეყნის ცენტრალური ნაწილის შვიდ პრეფექტურაში,რომლებიც მოწყვეტილი არიან გარესამყაროს, აღმოჩნდა 11 დასახლებული პუნქტი, სადაც თითქმის 7 ათასი კაცი ცხოვრობს. ცდილობენ, იქით მიმავალი გზები გაწმინდონ თოვლის ზვავებისგან მძიმე ტექნიკის დახმარებით, მათ შორის, საქმეში ჩართულია სამხედრო ქვედანაყოფებიც.**



# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

**2014 წლის 15 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“. აღნიშნულ ინფორმაციაში გაიპარა შეცდომა, მე-5, მე-7, მე-8 და მე-13 ობიექტები უნდა გამოქვეყნებულიყო შემდეგი რედაქციით:**

| ობიექტი №5 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქოლაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მულხურაზე „ქოლაშის“ (I და II უბანი) ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 49 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქოლაშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 109 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 710,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 622 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №7 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარათაღლას მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვრის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 150 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარათაღლას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 20 113 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 011,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 223 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №8 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ოზურგეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნატანების ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ოზურგეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 877 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 487,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 175 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №13 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეგაანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჭერმისხევზე „ჭერმისხევის“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 21 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეგაანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 414 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 341,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 883 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◉ წყალბურთი

# ბუდაპეშტამდე ნაბიჯიღა რჩება

**2014 წლის ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის პირველი მატჩი**

**თბილისი, „ოლიმპიკი“, 15 თებერვალი**

**საქართველო-თურქეთი 8:4 (3:1, 2:1, 2:1, 1:1).**

**საქართველო:** ზურაბ ჭუმბურიძე, გიორგი ხვედელიანი, დამირ ცრეპულია (2), მარკო ელეზი (1), გალაქტიონ ლაითაძე, მარკო ელაჩა (3), რევაზ ჩომახიძე (1), მიხეილ



ბაღათურია, ზურაბ რურუა (1), კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი, ბექა კაპანაძე, მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი.

**თურქეთი:** მეჰმედ აკიფ ტოპალოღლუ, არსლან სუტალო (1), ეგე ენგინ კოლაკი, ბერკ ბიიკი, იილიტან ჰანტალი, ატაკან დესტიჩი, ანილ სუნმეზი, მიხაილო კოროლიჩა, კემილ ბაჰადირ ოზბაკიში, ალიკან კაგატეი, ბერკ გეზეკი. მთავარი მწვრთნელი მატუტინოვიჩი, მწვრთნელი შაჰბაზი.

წლეულს ზაფხულს უნგრეთის დედაქალაქი წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდს უმასპინძლებს. მასში მონაწილეობის რეალური შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს, რომელმაც პლეი-ოფის პირველ მატჩში შინ თურქეთის ეროვნულ გუნდს აჯობა 8:4. ეს შეხვედრა თბილისში „ოლიმპიკის“ აუზში გაიმართა. უამრავი ქომაგის ომახიანი შეძახილებით გულანთებულმა მასპინძლებმა პირველი წუთებიდანვე აქტიურად შეუტიეს სტუმრების კარს და 25-ე წამზე ელეზიმ ანგარიშიც გახსნა. თურქებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა, მაგრამ პირველი მეოთხედის ბოლომდე ჩვენებმა კიდევ ორჯერ აიძულეს ტოპალოღლუ, ბურთი გამოეტანა კარის ბადიდან. მომდევნო სამი პერიოდის განმავლობაშიც მატჩი მასპინძელთა კარნახით მიმდინარეობდა, მაგრამ ჩვენები იერიშების დაგვირგვინებისას სცოდავდნენ, თორემ ანგარიშში სხვაობა უფრო სოლიდური იქნებოდა. ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად საქართველოს ნაკრებს სტამბოლში განმეორებითი მატჩის 0:3 წაგებაც ხელს აძლევს, მაგრამ გუნდის მწვრთნელებსა და წყალბურთელებს ამის გაფიქრებაც არ სურთ — თურქეთში მხოლოდ გასამარჯვებლად ვიბრძოლებთო. საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ბითაძემ გვითხრა, რომ შინ 4 ბურთის სხვაობით მოგება კარგია, მაგრამ ფინალში გასვლის გარანტიას ვერ იძლევა, რადგან ძლიერი მეტოქე გვყავს. „ვინ ითამაშებს ბუდაპეშტში, ეს პირველ მარტს გაირკვევა. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ეს საქართველოს ნაკრები იყოს“, — თქვა მან. აღსანიშნავია ისიც, რომ სტამბოლში განმეორებით მატჩზე დასასწრებად 100-ზე მეტი ქართველი გულშემატკივარი აპირებს გამგზავრებას. მათი ქომაგობა ჩვენი ბიჭებისთვის საბოლოო წარმატების მისაღწევად დამატებითი სტიმული იქნება.

**ზურაბ რურუა, ნაკრების კაპიტანი:** შარშან ივნისში სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე თურქებს 10:9 მოვუგეთ. თბილისში, ფაქტობრივად, იგივე გუნდი დაგვიპირისპირდა. შესაძლოა, მეტოქემ პირველი მარტისთვის შემადგენლობაში ცვლილებები მოახდინოს, მაგრამ არა ისეთი, რომ ჩვენთვის სიურპრიზი აღმოჩნდეს. რთული მატჩი გველის. მაქსიმუმს გავიღებთ და ვეცდებით, გულშემატკივრები ფინალურ ეტაპზე გასვლით გავახაროთ.

* * *

**გასულ შაბათ-კვირას პლეი-ოფის დანარჩენი შეხვედრებიც გაიმართა. გაუწყებთ მათ შედეგებს:** რუმინეთი-დიდი ბრიტანეთი 18:7 (3:2, 4:2, 6:2, 5:1), უკრაინა-ესპანეთი 5:17, (1:3, 2:5, 2:5, 0:4), სლოვაკეთი-ხორვატეთი 8:16 (2:5, 2:4, 1:4, 3:3), საფრანგეთი-მალტა 20:8 (4:3, 6:2, 7:2, 3:1), ჰოლანდია-რუსეთი 9:11 (3:1, 1:3, 3:4, 2:3).

**განმეორებითი მატჩები 1-2 მარტს გაიმართება.**

**ლექსო ცინცაძე**

◉ ძიუდო

# ორი „ოქრო“ და მეორე ადგილი



**გასულ უქმეებზე ავსტრიის ქალაქ ობერვარტში დამთავრდა ძიუდოისტთა ევროპის ღია ტურნირი, რომელშიც ქართველმა ფალავნებმაც მოსინჯეს ძალები, ოღონდ მწვრთნელებმა ავსტრიაში გადახალისებული შემადგენლობა ჩაიყვანეს.** ეროვნული გუნდის წევრთაგან მხოლოდ ზებედა რეხვიაშვილი ახლდა ნაკრებს, რომელმაც არა ჩვეულ 73, არამედ 81 კილოში იჭიდავა. შარშან გაკეთებული ცხვირის ოპერაციის შემდეგ ქართველ ფალავანს სუნთქვის პრობლემები მოეხსნა და ტატამზეც ლაღად გრძნობს თავს, რაც ობერვარტშიც ნათლად გამოჩნდა. რეხვიაშვილი შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაერთო. ჩეხი ივან პეტრას და პირველ ნომრად განთესილი ამერიკელის — ტრევის სტივენსის დამარცხებას 4-4 წუთი მოანდომა, ჩერნოგორიელ სრჟან მრვალიევიჩს 3 წუთში სძლია იპონით, ნახევარფინალში რუსი მიხაილ კაზიდუბი ჩამოიშორა გზიდან, გადამწყვეტ პაექრობაში კი კანადელი ანტუან ვალუა-ფორტიე ნახევარ წუთში გააკრა ტატამზე ბეჭებით.

თანაგუნდელს ჩინებულად აუბა მხარი ზვიად გოგოჭურმა (90 კგ), რომელმაც ხუთ მეტოქეს მოუგო ვადამდე და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე ნომრად განთესილმა ქართველმა ჯერ ჰოლანდიელი მაქს დე ვრეეზე დაამარცხა, მერე — არგენტინელი კრისტიან შმიტი და ჩეხი მიხალ კრპალეკი. ნახევარფინალში იაპონელი ტაკეში სუგაჰარას აჯობა იპონით, ფინალში კი რუსეთის ნაკრების წევრ მურატ გასიევს 49 წამში მოუმთავრა საქმე. რეხვიაშვილმა და გოგოჭურმა ევროპის ღია პირველობის ოქროს მედლებთან ერთად 100-100 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურეს. ამ ორ წონაში გამარჯვებითა და თამაზ კირაკოზაშვილის მე-7 ადგილით საქართველოს ნაკრებმა 41 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის გუნდური მე-2 ადგილი დაიკავა.

**გივი გაგუა**

◉ ჭიდაობა

# კვიცი — გვარზე

**სახელოვან ფალავანს — ევროპის ხუთგზისა და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ლუკა კურტანიძეს, რომელიც ამჟამად საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას უდგას სათავეში**



**და ვეტერანობისას კიდევ ერთხელ რომ მოინდომა ხალიჩაზე ჭაბუკურად განავარდება, ოჯახური ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი ეზრდება — ვაჟიშვილი ნოდარ კურტანიძე.** ამას წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში იხუმრა კიდეც, არ არის გამორიცხული, მამა-შვილი ერთმანეთს რომელიმე საერთაშორისო ტურნირში დავუპირისპირდეთო. ეს რეალობასთან ახლოსაა, რადგან ნოდარი (96 კგ) გასულ უქმეებზე სასპორტო კომპლექს „არენაში“ საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა და ნაკრებში დაიბევა ადგილი. ნახევარფინალში მან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრ როლანდ ანდრიაძეს აჯობა, ფინალში კი საბა დეკანოიძე დაამარცხა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მძიმე წონაში გენო პეტრიაშვილმა იოლად მოიგო ტურნირი, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას ახალგაზრდებში არაფერი ესაქმება, მაგრამ უფროსებთან პაექრობისას საქართველოს ჩემპიონატში დავით მოძმანაშვილთან დამარცხდა. ამიტომ კონტინენტის პირველობაზე მოძმანაშვილი გაემგზავრება, გენოს კი ნუგეშად თანატოლების ევროპირველობა რჩება. აქვე საქართველოს ახალგაზრდული პირველობის გამარჯვებულებს გაგაცნობთ წონითი კატეგორიების მიხედვით: **50 კგ.** ალექსანდრე კილაძე (რუსთავი), **55 კგ.** რამაზ დარჩიძე (აჭარა), **60 კგ.** გიორგი ბრეგაძე, **66 კგ.** ომარ გურჯიძე (ორივე — ქუთაისი); **74 კგ.** ტარზან მაისურაძე, **84 კგ.** ირაკლი მწითური, **96 კგ.** ნოდარ კურტანიძე (სამივე — თბილისი), **120 კგ.** გენო პეტრიაშვილი (გორი).

**ლაშა დიდია**

◉ კალათბურთი

# შოუს კანონებით

**ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (NBA) „ყველა ვარსკვლავთა კვირეულის“ მთავარი მატჩის წინა დღეს მოთამაშეები ერთმანეთს სხვადასხვა სახის კონკურსებში შეეჯიბრნენ.**

ჩატენვებში კონკურსის გამარჯვებული „ვაშინგტონ უიზარდსის“ გამთამაშებელი ჯონ უოლი გახდა, რომელიც ფინალურ ცდაზე გუნდის თილისმას გადაახტა, მას ბურთი გამოართვა და ფართან ზურგით მყოფმა ჩატენა.



სამქულიან სროლებში საუკეთესო მაჩვენებელი „სან ანტონიო სპურზის“ მცველ მარკო ბელინელის ჰქონდა. იტალიელმა კალათბურთელმა ფინალურ რაუნდში სარეკორდო 24 ბალი დააგროვა და „ვაშინგტონის“ მცველის ბრედლი ბილის შედეგი (19) გადაფარა.

სნაიპერთა შეჯიბრში წარმატება წილად კრის ბოშის („მაიამი ჰითი“), დომინიკ უილკინსის და სუინ კეშის გუნდს ხვდა. საინტერესოა, რომ ბოშის სამეულმა შარშანდელ შეჯიბრშიც იმარჯვა, ახლა კი თავად კრისის მეთაურობით კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. ფლორიდელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ბურთი კალათში ცენტრიდან მოათავსა და კევინ დიურანტის გუნდზე (43.6 წამი) გაცილებით უკეთესი შედეგი დააფიქსირა — 31.4 წამი.

დასავლეთ კონფერენციის წარმომადგენელმა დემიან ლილარდის („პორტლენდი“) და ტრეი ბერკის („იუტა“) წყვილმა იმარჯვა ოსტატობის კონკურსში. ფინალურ ეტაპზე მათ მაიკლ კარტერ-უილიამსს და ვიკტორ ოლადიპოს მხოლოდ 0.1 წამით აჯობეს.

რაც შეეხება მთავარ მოვლენას, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფერენციების ნაკრებთა მატჩი ნიუ ორლეანში გუშინ გამთენიისას გაიმართა და აღმოსავლეთელთა გამარჯვებით დასრულდა — 163:155. შეხვედრის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ „კლივლენდის“ გამთამაშებელი გრანტ კარი მიიჩნიეს, რომელმაც 31 ქულას მოუყარა თავი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ჩოგბურთი

# ბერდიხის მეცხრე ტიტული

**როტერდამის ტურნირის ფინალში რეიტინგსიის მეშვიდე ნომერმა ტომაშ ბერდიხმა ხორვატ მარინ ჩილიჩს 6:4, 6:2 მოუგო და, 2012 წლიდან მოყოლებული, პირველ ტურნირზე იმარჯვა. შარშან 28 წლის ჩეხი 3 გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობდა, მაგრამ ტოპათეულის ერთადერთ წევრად დარჩა, რომელმაც ვერც ერთი ტიტული ვერ მოიპოვა. როტერდამში ტომაშმა კარიერის მეცხრე შეჯიბრება მოიგო.**

ბერდიხისა და ჩილიჩის ფინალი საათსა და 15 წუთს გაგრძელდა. ამ სათამაშო დროის განმავლობაში ბერდიხმა 3 ბრეიკი და 9 ეისი შეასრულა. პირად დაპირისპირებას რაც შეეხება, ბერდიხმა ჩილიჩს მეხუთედ მოუგო, თავად კი ხორვატთან 2 მარცხი აქვს განცდილი.



როტერდამში მოპოვებულმა ტრიუმფმა ბერდიხს 330750 ევრო და 500 სარეიტინგო ქულა შემატა.

**გიორგი შოთაძე**

◉ ინტერნეტიდან

# ქალი ფორმულა 1-ში? გამორიცხული არაა!

**„ზაუბერმა“ ინდიქარის შვეიცარიელი მრბოლი სიმონა დე სილვესტრო თავის პროტეჟე პილოტად გამოაცხადა. ეს ნიშნავს, რომ ქალი მრბოლი „ზაუბერის“ მოსამზადებელ პროგრამაში ჩაერთო, რისი მიზანიც, ფორმულა ერთისთვის აუცილებელი სუპერ ლიცენზიის მიღებაა. და თუ ყველაფერი კარგად იქნება, მას 2015 წელს ფორმულა ერთში ვიხილავთ.**

„ინდიქარში გატარებული ოთხი სეზონის შემდეგ სიმონას ამბიციები ფორმულა ერთში გადასვლას ითვალისწინებს. ჩვენ ის ძალიან ნიჭიერ მრბოლად მიგვაჩნია და ამიტომ ჩვენს გუნდში მისი აყვანა გადავწყვიტეთ. ამიერიდან ის ჩვენი „შვილობილი“ მრბოლია, რაც მისთვის მოტორსპორტის მწვერვალის მიღწევაში დახმარებას გვავალებს“, — ამბობს „ზაუბერის“ შეფი მონიშა კალტენბორნი (ფოტოზე დე სილვესტროსთან ერთად).

რა თქმა უნდა, შვეიცარიულ გუნდთან დამყარებული ურთიერთობით დე სილვესტროც კმაყოფილია. მისი თქმით, ერთი ნაბიჯიღა დარჩა ცხოვრების მთავარი ოცნების ასრულებამდე: „ზაუბერი“ სოლიდური მემკვიდრეობით გამოირჩევა და ის ერთადერთი შვეიცარიული გუნდია ფორმულა ერთში. მონიშასა და პეტერ ზაუბერის მიმართ ჩემი მადლიერების გამოხატვა სიტყვებით შეუძლებელია. მათგან წარმოუდგენელ მხარდაჭერას და ჩემი შესაძლებლობებისადმი ნდობას ვგრძნობ. ისინი ხომ შანსს მაძლევენ“.

დე სილვესტრო ინდიქარში 2010 წლიდან ასპარეზობს. გასულ სეზონში მან ჰიუსტონის რბოლა მეორე ადგილზე დაასრულა, რაც მის კარიერაში საუკეთესო შედეგია.

**როსტომ რაჭველიშვილი**



◉ შაბათ-კვირის ჩანაწერები

# „ორი კურდღლის დაჭერა“ გუდიაშვილის ქუჩაზე

## ანუ დიდი ხელოვანი დიდ ხელოვანს „მასპინძლობს“

**თითქმის ერთი თვეა, იშვიათი ფაქტის მოწმეა ზოგიერთი თბილისელი. თავის ქუჩაზე, თავის სახლ-მუზეუმში, თავის საგამოფენო დარბაზში, დიდი მხატვარი ლადო გუდიაშვილი ასევე დიდ მხატვარ ზურაბ ნიჟარაძეს „მასპინძლობს“, მის უნიკალურ ფერტილოებს „წარმოგვიდგენს“, ამასობაში კი სახვითი ხელოვნების მოყვარულნი „ორ კურდღელს იჭერენ“, — ზურაბ ნიჟარაძის ფერწერის დათვალიერების შემდეგ, იქვე, მესამე სართულზე, ლადო გუდიაშვილის გამორჩეული შემოქმედებით, ერთხელაც ტკბებიან.**

თითქოს სიმბოლურიც კია, ასე ერთად, ჩვენი ორი საამაყო ხელოვანის შეხვედრა. მერაბ ნიჟარაძეს, როგორც თვითონ ამბობს, დიდი პატივი დასდო ლადო გუდიაშვილის სახლეულმა, რომ აქ გაემართა თავისი დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც უკვე უამრავმა თბილისელმა ნახა.



მე გასულ შაბათს ვიყავი საგამოფენო დარბაზში და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ზურაბ ნიჟარაძე „იგივეა მარად და მარად“, ბოლო წლების ნამუშევრებშიც, რა თქმა უნდა, შენარჩუნებული აქვს თავისი სიმაღლე. ათვალიერებ ამ ზღაპრულ ფერადოვნებას და შეუძლებელია არ დაეთანხმო ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჯანბერიძეს: „მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა მიჯნაზე ზურაბ ნიჟარაძე გამორჩეული ფენომენია არა მხოლოდ ჩვენს ფერწერაში, არამედ, მთლიანად ქართულ სახვით ხელოვნებაში. ნიჟარაძის ფერწერის ჰარმონიული ენა, ჯერ კიდევ მის ახალგაზრდობაში, იმთავითვე გამოირჩეოდა ღონიერი ფორმითაც და ფაქიზი ემოციურობითაც. ეს სიფაქიზე დღესაც მხატვრის ელეგანტური არტისტიზმით და ფილოსოფიური ლირიზმითაა დამუხტული“.

ამ აზრს ადასტურებს დარბაზში გამოფენილი რამდენიმე ათეული ფერწერული ტილო. აბა, რომელი ერთი დაგისახელოთ? მაგალითად, „ძეცდომილი“, „ქალი თუთიყუშით“, „კაფე“, „წითელი სკამი“, „ზაფხული“, „მობანავე“, „დედათა მონასტერი იმერეთში“ და ასე შემდეგ...



...მერე კი ბატონი ლადოს ყველასთვის ასე მახლობელი შემოქმედება... ეს „გაზაფხული“, ეს — „კაფე როტონდაში“, ეს — „მსახიობი“, „ ეს „ცისარტყელა“, ეს — „მანანას მორთვა“... უმრავლესობას, ნანახი გაქვთ, უმრავლესობას ნაგრძნობი გაქვთ გუდიაშვილის პალიტრის სიდიადე...

გამოვდივარ საგამოფენო დარბაზიდან კვლავაც შემსწრე ორი ხელოვნის მაღალნიჭიერებისა, გუდიაშვილის ქუჩიდან ვხედავ ქაშუეთის ეკლესიას — ლადო გუდიაშვილის მიერ ჭერმოხატულს, პირჯვარს ვიწერ და საქართველოს ზეცას ვლოცავ!

# მობილურკავშირიანი ქართველი...

**მირეკავს მირიანი, უფროსი მეგობარი „მირიან გრიგორიჩი“, უკვე ოთხმოცს გადაცილებული მოხუცი. მომენატრე კაცოო, ალექსანდრეს ბაღში ჯერ ვერ გამოვდივარო, რა მიქნა ამ ზამთარმა, ჩამკეტა სახლშიო... აღარც ნათესავი მოდის, აღარც მეზობელი, დაგვირეკავენ მე და ჩემ დედაბერს შვილები და შვილიშვილები მობილურ ტელეფონზე, მოგვიკითხავენ და რაღაი, კარგად ვეგულებით (ჩვენ რომ კარგად ვართ, ქე კმარა მაგი...), გვემშვიდობებიან მომავალ დარეკვამდეო... შეიძლება მაგათ ცოტა ეპატიებოდეთ, თბილისში არ ცხოვრობენ, მაგრამ, საერთოდ ვამბობ, გაცივდნენ ერთმანეთის მიმართ ადამიანებიო...**

ვისაუბრეთ ტელეფონით ამ მთისა, იმ ბარისა, რა თქმა უნდა, პოლიტიკის საკითხებიც არ გამოგვრჩენია, დაგირეკავ „გრიგორიჩ“, ახლა ჩემი ჯერია-მეთქი, დავპირდი და დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

მდააა... რაო, რა თქვა მირიანმა? გაცივდნენ ერთმანეთის მიმართ ადამიანებიო?.. ჰაი, ჰაი, რომ ასეა... ეს კი, რაღა თქმა უნდა, დაუნდობელმა დღევანდელობამ, აუარება ყოფითმა პრობლემამ, საშინაო თუ საგარეო საკითხებმა გამოიწვია... ახლობლებთან მისვლა-მოსვლა კი არა, თუ ღმერთმა ქნა და სამსახური იშოვნა კაცმა, მუშაობს ალიონიდან გვიანობამდე, დაღლილ-დაქანცული ბრუნდება შინ და აღარც სტუმარს ნატრობს და აღარც სტუმრად მისვლას... იმასაც ერიდება, რომ მივიდე, ვაითუ, შევაწუხოო... უბრალო მისატან-მოსატანიც ხომ ერთი პრობლემა გახდა... აბა, ქართველ კაცს ასეთი რამ შეეშლებოდა? დაავიწყდებოდა? „თავს მოიჭრიდა?“ თითქოს პარადოქსია, მაგრამ, უფროსი თაობის ადამიანები დამეთანხმებიან, 100 და 200-მანეთიანი ხელფასით უფრო ადვილად, უფრო ხალისით, უფრო ერთმანეთის მოფერებითა და მოსიყვარულებით ვცხოვრობდით, ვიდრე ამ „მწვანებანკნოტიან“ დროში ვართ.



ახლა ზოგი წამოიქოჩრება, ვფანტავდით სახელმწიფო ქონებას, გენაცვალეთო, ახლა საკუთარი, ლარიც კი დასანანია გასაცემადო.. ჰოდა, აი, ხომ ვისწავლეთ ევროპული პრაგმატიზმი? ხომ შევეშვით ქართულ ხელგაშლილობას, ასე რომ აოცებდა უცხოელ სტუმარს? მერედა, კარგი იყო ეს? ძალიანაც კარგი იყო, მამა-პაპიდან წამოსული იყო, „ქართული“ იყო!.. დღევანდელი ცხოვრების პირობებმა ხასიათიც შეუცვალა ქართველ კაცს, რამაც ურთიერთობები გააძნელა... ნუთუ ეს კმარა, მხოლოდღა, ნაირ-ნაირი მობილურებით ვეხმიანებოდეთ ერთმანეთს? ამას ჰქვია ქართული გულის სითბო?.. არა, ბატონებო!

ეეეე... მე ჩემი უფროსი მეგობრის გულისტკივილის გამო, მოკლედ გაგიზიარეთ საკუთარი აზრი, თორემ, ეს ყოველივე, ვეებერთელა პრობლემაა, სიღრმისეული, გამოწვლილვით ანალიზს რომ მოითხოვს. მერე რა, ამით უკან დავაბრუნებთ დროს, რომელიც ადამიანთა ურთიერთობებს ალამაზებდა? მეტი არაა ჩვენი მტერი, კიდევ კარგი კინოფირებზე მაინც შემორჩა ქართული გულგაშლილობის სასიამოვნო კადრები!

ჰოდა, იქნებ, შვილებმა და შვილიშვილებმა მაინც იხილონ ამ კადრებზე, ვინ იყო მათი წინაპარი, საიდან მოდიან, ვინ არიან ისინი... ხოლო საით ეძახით გზა-სავალი, გულდინჯად და ჭკვიანურად იფიქრონ .

ჯერჯერობით კი კაცი დავლოცოთ, ვინც მობილური ტელეფონი შექმნა და, ხანდახან, ერთმანეთის ხმა ასე მაინც გვესმის, ნებსით თუ უნებლიეთ, კეთილ ტრადიციადაკარგულ ქართველებს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**ლია ლომიძე, ლამარა გაგუა ოჯახებით ულრმეს მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის, ოჯახიშვილის, უნიჭიერესი და უსაყვარლესი ახალგაზრდის**

**დავით ცხაკაიას**

**დაღუპვის გამო და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს, ნათესავებს და ახლობლებს.**

**ნათელა ვაჩნაძე, ია ჩიჩუა, ანზორ ასათიანი, მიტო ლეთოდიანი, სოსო კვიციანი, ზურაბ მაჩაიძე, როინ მეტრეველი, უშანგი მდინარაძე, ზურაბ რატიანი, ცეზარ ლაშხი, ავთანდილ წოწკოლაური იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის კურსის მეგობარი, ღირსეული ქართველი**

**ზებედე შატბერაშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

◉ ეპიტაფია

## გარდაიცვალა მერი დავითაშვილი

საბავშვო კომპოზიტორი მერი დავითაშვილი გარდაიცვალა. მერი დავითაშვილს ქაშუეთის ტაძრიდან 20 თებერვალს გამოასვენებენ.

კომპოზიტორი და პედაგოგი მერი შალვას ასული დავითაშვილი 1924 წელს დაიბადა. იგი საქართველოს სახალხო არტისტი (1979) და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1981) იყო. 1946 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. მისი ხელმძღვანელი პროფესორი ა. ბალანჩივაძე იყო. 1968-92 იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი. მისი ხელმძღვანელობით სისტემატურად ტარდებოდა საბავშვო მუსიკის კვირეულები. 1973 წლიდან კი თბილისის კონსერვატორიის პედაგოგია. დაწერილი აქვს ორი საბავშვო ოპერა — „ქაჯანა“ (1965) და „ნაცარქექია“ (1972), მრავალი საბავშვო სიმღერა, მუსიკა საბავშვო სრულმეტრაჟიანი და ნახატი ფილმებისათვის („მანანა“, „მტრობა“, „ხელმარჯვე ოსტატი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“ და სხვა). ასევე, სიმფონიური, კამერული და საგუნდო ნაწარმოებები, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისათვის და სხვა. 1997 წელს მერი დავითაშვილი ღირსების ორდენით დააჯილდოეს.



◉ ალიან-ჩალიანი

## ჩვენ თანდათან გადავალთ საელჩოების შეძენის პროცედურაზე

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, გასული კვირის სასიხარულო მოვლენა იყო ის, რომ საქართველომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საელჩოს შენობა შეიძინა.

როგორც დავით ზალკალიანმა ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ძალიან ბევრი ქართველი დიპლომატის ოცნება ახდა, რომ ქვეყანას ჰქონოდა საელჩოს საკუთარი შენობა ისეთ მნიშვნელოვან ქვეყანაში და სტრატეგიულ პარტნიორთან, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები.

— ეს შესყიდვა განხორციელდა ყველა საერთაშორისოდ მიღებული ნორმების დაცვით, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. ჩართული იყო საერთაშორისო აუდიტორული კომპანია. შესწავლილ იქნა ადგილობრივი ბაზარი და 2014 წლის 14 თებერვალს ეს პროცედურა საბოლოოდ დასრულდა. ჩვენ თანდათან გადავალთ საელჩოების შეძენის პროცედურაზე და, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში, იმისდა მიხედვით, რა შესაძლებლობას მოგვცემს ბიუჯეტი, — განაცხადა ზალკალიანმა.

## სოლიდარობა მოშიმშილე მეხანძრეებს

**ტრანსპორტის** პროფკავშირების წარმომადგენლებმა მოშიმშილე მეხანძრეებს სოლიდარობა გამოუცხადეს. ტრანსპორტის პროფკავშირის თავმჯდომარემ ლავრენტი ალანიამ განცხადება გუშინ, საგანგებო სიტუაციათა სამსახურის შენობასთან გააკეთა, სადაც კარვებია გაშლილი და 20-მდე მეხანძრე შიმშილობს.

როგორც მან აღნიშნა, სამარცხვინო ფაქტია, რომ გიორგაძის გულისთვის დღეს 20 ადამიანი შიმშილობს.

როგორც პროფკავშირების წარმომადგენლები აცხადებენ, გიორგაძე არის კრიმინალი, მას საკუთარი აგარაკები თანამშრომლების შრომით აქვს აშენებული და მისი ადგილი მოდულის შენობაშია.

ამასთან, არ არის გამორიცხული გიორგაძის გადადგომის მოთხოვნით ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებიც გაიმართოს. თავად მეხანძრეები კი რომლებიც ხელმძღვანელის გადადგომას ითხოვენ, უკვე მეექვსე დღეა შიმშილობენ და პროტესტის შეწყვეტას არ აპირებენ.

## შსს-მ ყაჩაღური დაჯგუფების წევრები დააკავა

**როგორც** სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი , შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ყაჩაღური დაჯგუფების სამი წევრი — 1979 წელს დაბადებული მალხაზ ჯ, 1984 წელს დაბადებული შალვა გ, და 1967 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი შალვა ჯ. ყაჩაღობის მომზადების, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის, ტარების და გადაზიდვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები ერთ-ერთი დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანით ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში გადაადგილებისას დააკავეს.

მათი პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებულია „ა-კა-74“-ის მოდელის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 3 მჭიდითა და 105 საბრძოლო ვაზნით, 2 ნიღაბი, წებოვანი ლენტი, ხელთათმანი და 5 პლასტიკური ბორკილი.

## ორხევში 18 წლის გოგონა გარდაცვლილი იპოვეს

**18 წლის** თაკო ყურშავიშვილი გარდაცვლილი იპოვეს. გოგონას ცეცხლსასროლი იარაღით აქვს ჭრილობა მიყენებული. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაწყებულია. საქმე 115-ე მუხლით აღიძრა, რაც ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, მკვლელობა ორხევში, თაკო ყურშავიშვილის სახლში მოხდა.

**ინტერპრესი**

## ფენომენი

**ჰარვარდის უნივერსიტეტში, მოყოლებული 1991 წლიდან, იუმორისტული ჟურნალის „არაჩვეულებრივ გამოკვლევათა ანალების“ რედაქციის თანამშრომლები ყოველწლიურად, ოსლოში ნობელის პრემიების გადაცემის ცერემონიამდე ერთი კვირით ადრე, ეგრეთ წოდებულ „შნობელის პრემიას“ გადასცემენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში ყველაზე საეჭვო, ანდა, სულაც, სულელური მიღწევებისთვის. ნომინანტებს ჟიურის წევრები სერიოზულ სამეცნიერო გამოცემათა საგულდაგულო, გულდასმით გაცნობის შედეგად ადგნენ. შარშან შნობელის პრემიის სავარაუდო ლაურეატებს ჟიურის წევრებმა ორ სოლიდურ ჟურნალში, პირველი „ჯორნელ ოფ ექსპერიმენტ ბიოლოჯიში“, მეორე კი „ქარენთ ბიოლოჯიში“ „მიაგნეს“.**



# სკარაბეის გზა

პირველი ერთობლივი კანდიდატია უნგრელ ოპტიკის ფიზიკოსთა და შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის ეკოლოგთა გაერთიანებული ჯგუფი, რომლებმაც ერთი ძველი გამოცანა ამოხსნეს. მკვლევარებმა დაადგინეს, თუ რატომ და, რაც მთავარია, რის გამოა, რომ ზებრები ზოლიანები არიან.

აქამდე მიჩნეული იყო, რომ ზოლები ზებრებს, შესაბამისად, გარემოსთან უკეთ შესარწყმელად და, ამდენად, მტაცებელთათვის



მაქსიმალურად შეუმჩნევლად სამყოფად სჭირდებათ. მკვლევარებმა უარყვეს ეს მცდარი აზრი, რომელსაც მანამდე მრავალი მეცნიერიც იზიარებდა. საქმე ისაა, რომ ზოლები, განსაკუთრებით მთვარის შუქზე, როცა ბევრი მტაცებელი ცხოველი სანადიროდ გამოდის, ძალიან კარგად ჩანს. მიუხედავად ამისა, **ზოლებს მაინც აქვთ დამცველი ფუნქცია — ისინი ნაკლებად იზიდავენ ბუზანკალებს,** რაც მეცნიერებმა ექსპერიმენტულად დაამტკიცეს. მათ სამი წაბლა ცხენიდან ერთი შავად, მეორე თეთრად, მესამე კი შავ-თეთრ ზოლებად შეღებეს, ყველას წებოვანი სითხე წაუსვეს და საძოვრად გაუშვეს. ცოტა ხანში თითოეულზე მიკრული ბუზანკლები დაითვალეს, მათ შორის **ყველაზე ცოტა მწერი ზოლიანს დაესია.** აქედან გამოიტანეს დასკვნა, რომ ზოლები, განსაკუთრებით კი ვერტიკალური, ცხოველებს მწერებისგან იცავენ. მეცნიერთა აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ **ზოლები ანარეკლი შუქის პოლარიზებას ახდენენ, რომელსაც ბუზანკალები ცუდად აღიქვამენ.**

გარდა ამისა, მათ იმის დადგენაც შეძლეს — ზებრები თეთრზოლიანი შავი ფერის ცხოველები არიან თუ პირიქით? ზებრების ემბრიონების გამოკვლევამ აჩვენა, რომ დედის მუცელში ყოფნისას კვიცი შავია, თეთრი ზოლები კი მოგვიანებით უჩნდება.

თუმცა გაურკვეველი დარჩა, თუ რატომ არ გახდნენ ზოლიანები ევოლუციის პროცესში სხვა აფრიკული ცხოველებიც?

ნეხვის ხოჭოები, ანუ ძველ ეგვიპტელთა წმინდა მწერები სკარაბეები, ბუდემდე ნეხვის ბურთულების გადატანისას ორიენტაციას... ვარსკვლავებით იღებენ. კონკრეტულად კი ეს მწერები ნავიგაციისას ჩვენი სპირალური გალაქტიკის დედამიწიდან კარგად ხილულ განშტოებას — ირმის ნახტომს აღიქვამენ. ეს გასაოცარი აღმოჩენაც იმავე შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის მეცნიერებს ეკუთვნის.

მეცნიერებმა სკარაბეებზე ცდები საგანგებო მანეჟში მოაწყვეს, რომელზეც მწერებს ცენტრიდან კიდემდე უმოკლესი გზისთვის უნდა მიეგნოთ, სადაც სანუკვარი ბურთულაკის დამალვა შეიძლებოდა. მწერებს ლაბირინთში რომ უშვებდნენ, მეცნიერები ხან მზეს, ხან მთვარეს უფარავდნენ. თანდათან გაირკვა, რომ **ორიენტაციისთვის ხოჭოებს ვარსკვლავებიც ყოფნის**. ეს დასკვნა იოჰანესბურგის პლანეტარიუმის მკვლევარებმაც დაადასტურეს, რომლებმაც დაადგინეს, კერძოდ თუ რომელი ვარსკლავური ობიექტები სჭირდებათ სკარაბეებს მარშრუტის გასაკვლევად, რისთვისაც მათ მორიგებით ფარავდნენ. აღმოჩნდა, რომ სკარაბეებს საორიენტაციოდ მხოლოდ ირმის ნახტომი სჭირდებათ, რომლის გარეშე ისინი გზას ვერ იკვლევენ.

— ეს მწერები ნავიგაციისას დედამიწის ობიექტებს საერთოდ არ იყენებენ და ჩვენს პლანეტაზე ერთადერთ ცოცხალ არსებებს წარმოადგენენ, რომლებიც ორიენტაციას ვარსკვლავებით იღებენ, — გაკვირვებას ვერ მალავს გამოკვლევის მონაწილე დოქტორი მარია დაკე.

თითქოს ძნელი წარმოსადგენია, რომ სკარაბეების ეს თვისება ძველი ეგვიპტელებისთვის ცნობილი ყოფილიყო, მაგრამ მაშინ რატომაა, რომ მათ უდიდეს პატივს სცემდნენ და მზის წმინდა მწერებად მიიჩნევდნენ? **იქნებ ისინი მართლაც არ არიან დედამიწის მკვიდრნი და ჩვენ სამყაროში იმავე ღმერთებმა ჩამოიყვანეს, რომლებმაც იცოდნენ, თუ რისთვის იყო საჭირო პირამიდების აგება?** იქნებ ისინი იმ სადღაც ახლოში მდებარე პლანეტიდან „ჩამოვიდნენ“, საიდანაც ირმის ნახტომის განშტოება ისევე კარგად ჩანს, როგორც დედამიწიდან?

კაცმა არ იცის...

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### „პუტინთან მოლაპარაკებაზე ღარიბაშვილი უნდა წავიდეს“

— მიაჩნია პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს, — ვინაიდან არსებობს შანსი, რომ გარკვეული გარღვევა მოხდეს, რაღაც კრეატიული გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, შეხვედრაზე უნდა წავიდეს ისეთი პირი, რომელიც თვითონ იღებს გადაწყვეტილებას და არა ვიღაც სხვა... მართალია, პრეზიდენტი მარგველაშვილი ბრწყინვალედ ასრულებს თავის ფუნქციას, ძალიან მომეწონა აზერბაიჯანში ვიზიტის დროს საინგილოში ქართველებს რომ შეხვდა, აღმაფრთოვანებელი სიტყვები უთხრა იქაურ ქართველებს, მაგრამ პუტინთან შეხვედრა საინგილოს ქართველებთან შეხვედრა არ არის. გადაწყვეტილების მიმღები პოლიტიკოსი უნდა შეხვდეს რუსეთის პირველ პირს.

„ახალი თაობა“

### რა მისია დააკისრეს „რესპუბლიკელებმა“ „ნაციონალებს“

მას შემდეგ, რაც „რესპუბლიკელებმა“ ბიძინა ივანიშვილი ოვაციებით გააცილეს პოლიტიკიდან, შვებით ამოისუნთქეს და რუდუნებით დაიწყეს ჯერ „ქართული ოცნების“ დანგრევა, შემდეგ კი „ნაციონალების“ გადაბირება უფრო მეტად რეგიონებში. ახლა იქამდეც მივიდნენ, რომ აშკარა გარიგებებსაც აღარ ერიდებიან და მათ სამომავლოდ თანამდებობებსაც ჰპირდებიან. რომ არა დღეს მართვის ერთადერთი მუხრუჭი ღარიბაშვილი, მთავრობასაც დიდი სიამოვნებით ჩაიგდებდნენ ხელში.

„ქრონიკა“

### ზაქარია ქუცნაშვილი თანაგუნდელებს უმუქრება

უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშილი, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, თანაგუნდელებს რამდენიმე საკითხში არ ეთანხმება და აღიარებს, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მიმართულებით, პრობლემაა. ამასთან, არც მაჟორიტარი კანდიდატების 40-პროცენტიანი ბარიერის გაწესება მიაჩნია სწორ გადაწყვეტილებად.

— ვერ ვიზიარებ ოპოზიციის შეფასებას, რომ საარჩევნო კოდექსი, წინა წლებთან შედარებით გაუარესდა. ადრე წინასაარჩევნო კამპანია ძალადობრივი აქტებით იმართებოდა, ახლა კი, მსგავსი პრობლემა დღის წესრიგში არ დგას. პირიქით, ყველამ ერთად აღიარა, რომ საპარლამენტო არჩევნები აბსოლუტურად თავისუფალ პირობებში ჩატარდა. ამასთან, 50-პროცენტიან ბარიერებთან დაკავშირებით თანაგუნდელებისგან განსხვავებული პოზიცია მართლაც მაქვს, თუმცა 40-პროცენტიანი ბარიერის დაწესებაშიც ტრაგედიას ვერ ვხედავ.

„ვერსია“

### ეს ჩმორები კიდევ რას „ბლატაობენ“?!

— გაცეცხლებულია ცნობილი მსახიობი და რეჟისორი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი, — ამათ უტიფრობას საზღვარი არა აქვს და ხალხს უარესად აღიზიანებენ. საქართველომ ნახა კადრები, როგორ ბლატაობდა მერაბიშვილი და როგორ ითხოვდა ორ გვამს... რომ იცოდეთ, ნომერ პირველი ჩმორი არის სააკაშვილი, ნომერ მეორე ჩმორი არის მერაბიშვილი და ყველანი, ვინც მათ პოლიტიკას იზიარებდნენ და იზიარებენ... ახლა ხელისუფლებაზე: ხაიშელები უკმაყოფილონი რომ არიან და ხატზე დაიფიცეს, ხუდონჰესს არ ავაშენებთო, ამას წივილ-კივილი არ უშველის. შენ იმიტომ ხარ ხელისუფალი, რომ თითოეულ ოჯახს უნდა დაუჯდე და დაარწმუნო ამ ჰესის აშენების აუცილებლობაში.

„ასავალ-დასავალი“

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**— მე შენ ძალიან კი მიყვარხარ, მაგრამ ფიქრებში მაინც გღალატობ, — ეუბნება ქმარი ცოლს.**

**— მეც ძალიან მიყვარხარ, — უპასუხებს ცოლი, მაგრამ ფიქრებში შენი ღალატი ფიქრადაც არ მომსვლია, ყველაფერი თითქოს თავისით და სავსებით რეალურად ხდება.**

* * *

**ბაბუას ქალაქელი შვილიშვილი ესტუმრა სოფელში. მას მერე, რაც ბაბუამ სტუმარს მთელი თავისი მეურნეობა დაათვალიერებინა, ყმაწვილმა ძალიან მოიწყინა.**



**— შვილო, იქნებ თოფი აგეღო, ძაღლი გაგეყვანა და ტყეში რამდენჯერმე გაგესროლა, გულს გადააყოლებდი, — უთხრა ბაბუამ.**

**ყმაწვილს გაუხარდა და წავიდა. ერთი საათის შემდეგ იგი აღგზნებული დაბრუნდა.**

**— ბაბუ, კიდევ გყავს ძაღლები?**

* * *

**— რატომღაც არ მეძინება, საყვარელო, — ეუბნება ცოლი ქმარს.**

**— ბოროტება არ თვლემს.**

* * *

**— ჩემს ცოლს სექსის დროს ძალიან უხამსი სიტყვების წამოყვირება უყვარს. ვითომ გარყვნილია? — ეკითხება ტიპი ძმაკაცს.**

**— არა, რა თქმა უნდა. ჩემი ცოლიც იგივეს შვრება. ოღონდ, სექსის მერე.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24